თბილისის ღია უნივერსიტეტი

ბიზნესისა და ინჟინერიის სკოლის

სამაგისტრო ნაშრომი

თემურ ტოტოევი

სათამაშო ბიზნესის როლი ქვეყნის ეკონომიკაში

,,წარმოდგენილია მაგისტრის კადემიური ხარისხის მოსაპოვებლად”,

თბილისის ღია უნივერსიტეტი”

თბილისი, 0156, საქართველო

ავტორი: თემურ ტოტოევი

საიდენტიფიკაციო ნომერი 01017054595

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

სკოლა: ბიზნესისა და ინჟინერიის

საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება

,,ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით თემურ ტოტოევის მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: "სათამაშო ბიზნესის როლი ქვეყნის ეკონომიკაში"

და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ინჟინერიის სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად"

თარიღი _____

ხელმძღვანელი : სრული პროფესორი

_____

რეცენზენტი:

_____

ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი:

ნათია ვაჭარაძე

_____

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი „სათამაშო ბიზნესის როლი ქვეყნის ეკონომიკაში“ განხილულია სათამაშო ბიზნესის განვითარების ისტორია მსოფლიოში, სათამაშო ბიზნესის განვითარების ისტორია საქართველოში

ნაშრომში გაანალიზებულია სათამაშო ბიზნესის, კერძოდ ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების რეგულირების და ნებართვის გაცემის კანონმდებლობა, ასევე სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი. მოყვანილია საქართველოში მოქმედი საწესებულებების სტატისტიკა წლების მიხედვით. გაანალიზებულია საქართველოს სახლმწიფო ბიუჯეტში სათამაშო ბიზნესიდან მიღებული შემოსავლების: მოსაკრებლებისა და გადასახადების სტატისტიკა. ასევე მოცემულია სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებული ფულის გათეთრებისა და სხვა შესაძლო რისკები.

დასკვნაში აღნიშნულია, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მოყოლებული, სათამაშო ბიზნესის განვითარება ძალიან მაღალი ტემპებით დაიწყო. საქართველოში დააწესა გადასახადი, რომელიც დაფუძნებული იყო სათამაშო მოწყობილობების რაოდენობაზე, რაც ამ ბიზნესის დაბეგვრის ყველაზე ეფექტური საშუალებაა. არაეფექტური რეგულირების პირობებში სათამაშო ბიზნესი შეიძლება მძიმე სოციალური პრობლემების გამომწვევი გახდეს, მაგრამ დაბალანსირებული მიდგომის შემთხვევაში, სოციალური რისკები მინიმალურია.

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობებში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელს უკავია არაუმეტეს 2% და შეიძლება თამამად ითქვას, რომ სათამაშო ბიზნესი არის ქვეყნის ხაზინის ერთ ერთი უმსხვილესი შემავსებელი. ამავე დროს სათამაშო ბიზნესი ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას საქართველოში და რეგიონში.

Summary

In Master's Thesis "The role of gambling business in the country's economy" is reviewed the history of gambling business development in the world, history of gambling business development in Georgia

The study analyzes the gambling business, namely the regulation of the lottery, gambling and lucrative games and issuing permits, as well as control of the performance of the permit conditions. The statistics of trusted entities in Georgia are listed according to years. Analyzing the revenues received from gambling business in Georgia's state budget: taxes and tax statistics. Money laundering and other possible risks associated with gaming business are also given.

According to the conclusion, since gaining independence of Georgia, gambling business has begun with very high pace. In Georgia, the tax rate, based on the number of gaming devices, is the most effective means of taxing this business. In the case of inefficient regulation, gambling business can become a serious social problem, but in case of a balanced approach, social risks are minimal.

Gambling business in the revenues of Georgia's compound budget holds no more than 2% and can be boldly said that gambling business is one of the largest fillers of the country's treasury. At the same time gambling business promotes tourism development in Georgia and the region.

შინაარსი

შესავალი ----------5

თავი 1. სათამაშო ბიზნესის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია მსოფლიოში და საქართველოში----------7

1.1. სათამაშო ბიზნესის განვითარების ისტორია მსოფლიოში----------7

1.2. სათამაშო ბიზნესის განვითარების ისტორია საქართველოში----------12

თავი.2 სათამაშო ბიზნესის როლის საქართველოს ეკონომიკაში----------17

2.1. სათამაშო ბიზნესის კანონმდებლობა----------17

2.2. სათამაშო ბიზნესზე კონტროლის განხორციელება----------44

2.3. საქართველოში სათამაშო ბიზნესის სტატისტიკური მიმოხილვა----------49

2.3. ფულის გათეთრება და რისკები----------55

დასკვნა.....61

გამოყენებული ლიტერატურა.....63

შესავალი

პრობლემის აქტუალობა. საქართველოში სათამაშო ბიზნესი არის განვითარების პიკზე. მოქმედებს და სახელმწიფო კონტროლის ქვეშ არის 237 ნებართვის მფლობელი ობიექტი ხოლო რეგისტრირებული მოთამაშეთა (სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ ობიექტებზე) რაოდენობა აჭარბებს 1 მილიონს. სათამაშო ბიზნესი საქართველოში არის ერთ ერთი უმსხვილესი მოგების მომტანი როგორც ნებართვის მფლობელებისთვის, ასევე სახელმწიფოსთვის. როგორც გასართობი ინდუსტრიის ერთ ერთი ინსტრუმენტი ხელს უწყობს რეგიონში ტურისტების მოზიდვას, აქედან გამომდინარე სახელმწიფო თავისი პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე აწესებს სხვა და სხვა სახის გონივრულ შეღავათებს სათამაშო ბიზნესის განვითარებისთვის, ესენია: მოსაკრებლის ობიექტებზე გადასახადის შემცირება და სანებართვო მოსაკრებლის შემცირებას ისეთ რეგიონებში როგორიცაა აჭარა, ბაზალეთის ტბის მიმდებარე ტერიტორია, ყაზბეგი, გუდაურის განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიისა, დაბა ბაკურიანის ტერიტორიისა, აგრეთვე ქობულეთის, ბორჯომის, წყალტუბოსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე.

კვლევის მიზანია მკითხველი გააცნოს საქართველოში მოქმედ, სათამაშო ბიზნესის მაკონტროლირებელ კანონმდებლობასთან, მის ისტორიასთან და განვითარებასთან ასევე იმ რისკებთან რომლებთანაც არის დაკავშირებული აღნიშნული საქმიანობა.

განხილულია საქართველოს „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული მოსაკრებლები, განაკვეთები და მათი ჯამი, როგორც სანებართვო, ასევე დაბეგვრის ობიექტების მიხედვით

კვლევის მეთოდოლოგიური და თეორიული ბაზა. ნაშრომზე მუშაობის დროს გამოყენებულ იქნა სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებული საკითხებზე უცხოელ და ქართველ მკვლევართა კვლევები;

ანალიტიკურ და სტატისტიკურ შეფასებებს შორის კანონზომიერებების დასადგენად გამოვიყენეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და ფინანსთა სამინისტროს საშემოსავლო სამსახურის პუბლიკაციები.

თავი 1. სათამაშო ბიზნესის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია მსოფლიოში და საქართველოში

1.1. სათამაშო ბიზნესის განვითარების ისტორია მსოფლიოში

აზარტული თამაშების ისტორია ოფიციალურად 1520 წლიდან იწყება და საფრანგეთში მეფე ფრანცისკ I-ის ბრძანებით დაკანონდა. პირველი კაზინოები პარიზში 1765 წელს გაიხსნა. იმ დროისთვის, აზარტული თამაშების სახლები გართობასთან ერთად, უამრავი უკანონო საქმიანობის, მათ შორის "შავი ფულის გათეთრების" ყველაზე კარგი საშუალება იყო. კაზინო კი არსებითად, სათამაშოდ შექმნილ ბარს წარმოადგენდა - მხოლოდ "რულეტკასა" და მაგიდის თამაშებს სთავაზობდნენ სტუმრებს, მოგვიანებით სლოტ-ავტომატები დაამატეს.

დღეს კაზინოები ევროპის, აზიის, აფრიკის, ამერიკისა და ავსტრალიის მრავალ ქვეყანაში არსებობს, თუმცა ზოგან კაზინო მაინც აკრძალულია. ამ ქვეყნებს შორისაა მექსიკა, თურქეთი, ნორვეგია, კვიპროსი (ბერძნული ნაწილი), ისრაელი, აზერბაიჯანი, ბრაზილია და ა.შ. ამერიკაში კი ყველაფერი შტატზეა დამოკიდებული, ზოგიერთ შტატში კაზინოს გახსნა მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობას შეუძლია, მდინარე მისისიპიზე კი ხომალდებზე განლაგებული კაზინოები დაცურავენ, რადგან აქ კაზინოს ხმელეთზე არსებობა აკრძალულია. თუმცა თანამედროვე მსოფლიოში აშშ აზარტული თამაშების ნომერ პირველ ქვეყნად რჩება. ნევადას შტატი, რომლის კაზინოებიც მთელ მსოფლიოში განთქმულია, "აზარტულ" შტატად არცთუ დიდი ხნის წინ იქცა. აზარტული თამაშები ამ შტატში ოფიციალურად 1931 წელს დაუშვეს, ხოლო პირველი კაზინო – "ფლამინგო", რომელმაც ლას-ვეგასისთვის აზარტული

თამაშების დედაქალაქის სახელის მოპოვებას ჩაუყარა საფუძველი, 1947 წელს გაიხსნა.[1]

აზარტული თამაშების ისტორიიდან საინტერესო ფაქტებიც სწორედ აშშ-ს უკავშირდება. როგორც ამბობენ, ამერიკის შეერთებული შტატების 37-ე პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონს პოკერის თამაში უყვარდა. სწორედ პოკერის "დახმარებით" შეაგროვა მან საჭირო თანხა წინასაარჩევნო კამპანიისთვის. თუმცა მის გარდა, აზარტული თამაშები სხვა პრეზიდენტებსაც იზიდავდა. აშშ-ის 43 პრეზიდენტიდან 19 - პოკერს თამაშობდა.

სათამაშო ბიზნესში ხშირად გვსმენია სიტყვა "კაზინო", მაგრამ მისი წარმომავლობა ბევრმა არ იცის. ჩასინო _ იტალიური სიტყვაა და პირდაპირი მნიშვნელობით პატარა სახლს ნიშნავს, ხოლო XIX საუკუნეში შენობის მნიშვნელობა შეიძინა, სადაც გასართობი ღონისძიებები იმართებოდა: სიმღერის მოსმენა, ცეკვა, აზარტული ტამაშები, ხოლო ქართულად სამორინე ეწოდება.

ამ ბიზნესის ძირითადი მახასიათებელი ნიშანია ადამიანების ილუზიის ექსპლუატაცია, რომელიც შემთხვევითობის პრინციპით ჰპირდება მათ გამდიდრებას. მათგან ყველაზე გავრცელებულია სამორინე (კაზინო), სათამაშო აპარატების სალონი, ტოტალიზატორი და ლატარია.

პირველი კაზინო ევროპაში ითვლება ღიდოტტო, რომელიც გაიხსნა 1638 წელს ვენეციაში, შემდგომ 1720 წელს ბად-ემსში და 1748 წელს ბადენ-ბადენში (მეფეებისა და იმპერატრების კურორტი). XVII-XIX საუკუნეებში კაზინოები ამოქმედდნენ ევროპის ყველა ქვეყანაში, დაწყებული ესპანეთით და დამთავრებული რუსეთით. 1865 წელს გრანდიოზული პომპეზურობით გაიხსნა მსოფლიოში დღესაც უაღრესად ცნობილი კაზინო "ლა გრანდ ჩასინო დე მონტე კარლო" მონაკოს სათავადოში.

სამორინე გახდა მდიდრების თავშეყრის ადგილი და დროთა განმავლობაში გამოააშკარავა თავისი მავნე ზეგავლენა საზოგადოებაზე, რაზეც ევროპის

[1]არაბული კ., ტურიზმის საფუძვლები, თბ., 2008, გვ., 175

ხელისუფლებამ დააწესა აზარტულ თამაშებზე შეზღუდვები. თითქმის ყველა კაზინო ევროპაში დაიხურა 1873 წელს. მაშინ მონაკოს ტერიტორიაზე მონტე კარლო აზარტული თამაშების დედაქალაქად იქცა, რომელმაც არ ჩათვალა საჭიროდ რაიმე შეზღუდვების დაწესება.

ამერიკაში პირველი კაზინო გამოჩნდა მხოლოდ მე- XIX საუკუნის დასაწყისში. აზარტული თაშების ცენტრი ხდება ახალი ორლეანე მას მოყვება ჩიკაგო და სან ფრანცისკო. განსაკუთრებული პოპულარობა ჰპოვა თამაშებმა: ბლაცკჯაცკ და პოკერ. პრეზიდენტ ენდრიუ ჯექსონის ხელისუფლებაში მოსვლისას მიღებულ იქნა ათწლიანი აკრძალვა აზარტულ თამაშებზე. XX საუკუნის დასაწყისში შტატ ნევადაში, ლასვეგასში და რიოში იწყება ახალი სამორინეების მშენებლობა. 40-იან წლებში ლასვეგასი შედგებოდა პატარა სამორინეებისგან, ხოლო 1946 წელს გაიხსნა პირველი უდიდესი სამორინე სახელწოდებით _ "ფლამინგო", მისი დამაარსებელი იყო ბაგსი სიგელი.

1978 წელს კაზინოს გახსნაზე ლიცენზიას იღებს ქალაქი ატლანტიკსიტი, რომელიც დღეის მდგომარეობით არის მეორე, ლასვეგასის შემდგომ ამერიკის ქალაქებს შორის.

აზარტულ თამაშებს განეკუთვნება სათამაშო აპარატების სალონები ე.წ "სლოტ-კლუბები". ამ ძირითადად ელექტრონულ სათამაშო აპარატებს აქვთ შესაბამისი პროგრამები და მექანიზმები, რომლებიც იძლევიან ფულად მოგებას. ეს სათამაშო აპარატებიც, როგორც წესი განლაგებულნი არიან სამორინეებში.

აზარტულ თამაშებს განეკუთვნება სათამაშო აპარატების სალონები ე.წ "სლოტ-კლუბები". ამ ძირითადად ელექტრონულ სათამაშო აპარატებს აქვთ შესაბამისი პროგრამები და მექანიზმები, რომლებიც იძლევიან ფულად მოგებას. ეს სათამაშო აპარატებიც, როგორც წესი განლაგებულნი არიან სამორინეებში.

არსებობს უამრავი ლეგენდა და ისტორია თუ როგორ წარმოიშვა თამაში რულეტკა. ერთ-ერთი მოსაზრებაა _ ის წარმოიშვა ძველ ჩინეთში პირველად, სადაც ჰქონდათ თამაში სახელწოდებით "მაგიური მოედანი". ამ თამაშში გამოიყენებოდა 37

ცხოველის ფიგურა, როდესაც ერთ-ერთი ფრანგი ბერი იყო ჩასული საქადაგებლად, ის გაეცნო ამ თამაშს და შესთავაზა შეეტანათ მცირედი სახეცვლილება, ანუ ბორბალზე დაემაგრდ ცხოველთა ფიგურები. გარკვეული დროის შემდგომ, ცხოველების ფიგურები ამოიღეს და მათ ნაცვლად გამოსახულება ჩაანაცვლეს, ხოლო შემდგომ რიცხვები. ბევრი თვლის, რომ რულეტკა გამოიგონა ფრანგმა ფილოსოფოსმა და მათემატიკოსმა პასკალმა XVII საუკუნეში. ვარაუდობენ, რომ მისი შთააგონების წყარო იყო მუდმივი ძრავის შექმნა. ძრავის ძირითადი ნაწილი იყო ბორბალი და მის გარშემო განლაგებული ფორმულები და მნიშვნელობები, რაც ცხრილისებურად ჰქონდა განლაგებული მაგიდაზე. არსებობს კიდევ ერთი ვერსია, რულეტკა წარმოიშვა ძველ საბერძნეთში. ექსპერტები აცხადებენ, რომ ძველად სპარტანელები თავიანთ სამხედრო ფარს აზარტულ თამაშებისთვის იყენებდნენ. დოკუმენტურ წყაროებში , რომლებიც ადასტურებენ, რომ ბორბალი ნომრებით და ბურთულით გამოყენებულ იქნა თამაშ ხოკაში. პირველი სამორინე (კაზინო) გაიხსნა ხოკას თამაშით საფრანგეთში XVIII საუკუნეში. სამორინე ამ თამაშით დიდ შემოსავალს ღებულობდა, რადგან ორმოც ნომრიდან სამი ნომერი იყო ნული ანუ ზერო. რულეტკა _ წარმოიშვა ფრანგული სიტყვიდან როულეტტე და პირდაპირ მნიშვნელობით პატარა ბორბალს ნიშნავს. ძირითადათ მისი დიამეტრია 90-100 სმ. და წონა 40-60 კგ. მერყეობს. ის დაყოფილია გამყოფილებებით(სექტორები), რომელებსაც მინიჭებული აქვთ რიცხვითი მნიშვნელობა. დღეისთვის სამორინეებში (კაზინო) გამოიყენება სამი სახის რულეტკა: ევროპული, ფრანგული და ამერიკული.

ევროპული რულეტკა _ აქვს 37 სექტორი, 1-დან 36-მდე და ნოლი ანუ ზერო. ზერო კაზინოს აძლევს უპირატესობას, ეს მაჩვენებელი შეადგენს 2,7% აღნიშნულ რულეტკაზე. დასაშვებია ზეპირი ფსონები დადება. ევროპული რულეტკა საქართველოს სამორინეებში უფრო გავრცელებულია.მერიკული რულეტკა _ შედგება 38 სექტორისგა, 1-დან 36-მდე 0(ზერო) და 00(ორმაგი ზერო). აქ სამორინეს (კაზინო)

უპირატესობა ორჯერ მეტია და შეადგენს 5,26%. ასეთ მაგიდებს იყენებენ ძირითადათ ამერიკის სამორინეებში (კაზინო).[2]

ფრანგული რულეტკა __ ანალოგიურია ევროპული რულეტკის სექტორების რაოდენობით. სხვაობა არის წესი «ლა პარტაფა», რომელიც იძლევა მეტ შანს მოგებაზე მოთამაშესთვის, რადგან სამორინეს (კაზინო) მოგების წილი 1,35% აღემატება მოთამაშეზე. წესის მნიშვნელობა შემდგომშია _ ნულის ანუ ზეროს მოსვლის შემთხვევაში მოთამაშეს უბრუნდება დადებული ფსონის ნახევარი, თუ ფსონი არ დევს ზეროზე. აქაც დასაშვებია ზეპირი ფსონების დადება. ასევე თვალსაჩინო სხვაობაა მაგიდა, სადაც ფსონების დადების ცხრილი განლაგებულია სხვანაირად. ასეთი სახის რულეტკა უფრო გავრცელებულია საფრანგეთში.

მსგავსი წისი გააჩნია ევროპულ რულეტკას _ «ენ პრისონ». სხვაობა, თუ ფსონი დადებულია თანაბარ შანსზე (წითელი, შავი; კენტი, ლუწი; დაბალი, მაღალი;) და დაჯდა ზერო, მაშინ ფსონი გადადის მომდევნო სპინზე იმ პირობით, თუ დაჯდება მოგება მაშინ მოთამაშეს უბრუნებენ დადებული ფსონი მოგების გარეშე და თუ კლავ დაჯდა ზერო ან წაგებული ნომერი მაშინ აღნიშნული ფსონი მიაქ სამორინეს (კაზინო).

ზოგიერთ ამერიკული სამორინეში (კაზინო) იყენებენ «შურრენდერ» წესს, რაც მსგავსია «ლა პარტაფა» წესის და სამორინეს (კაზინო) მოგების შანსი 5,26%-დან მცირდება 2,63%-მდე. პოკერი, როგორც სპორტის სახეობა, გულშემატკივრების რაოდენობის მხრივ ამერიკაში მესამე ადგილზეა და ჯერ კიდევ დამაჯერებლად იპყრობს მსოფლიოს. საქართველოში პოკერი ჯერ კიდევ დაწყებით სტადიაზეა, თუმცა ძალიან დინამიურად ვითარდება, რაც ძალიან სასიხარულოა.

ერთ-ერთი ვერსიით თამაშის სახელწოდება მომდინარეობს გერმანული სიტყვიდან Pochen– რაც კაკუნს ნიშნავს. პირველი მონაცემები პოკერის მსგავს თამაშზე ნახსენებია მე–16 საუკუნეში

[2]არაბული კ., ტურიზმის საფუძვლები, თბ., 2008, გვ., 177

ინგლისელი მსახიობის ჯოზეფ ქროულის ცნობით, პოკერი პირველად, 1829 წელს ახალ ორლეანში, ლუიზიანაში ითამაშეს. 20 კარტის საშუალებით ოთხი მოთამაშე ფსონს იმაზე აკეთებდა, თუ ვის ჰქონდა უკეთესი კარტების კომბინაცია. ჯონათან გრინის წიგნში, „აზარტული თამაშების ხელოვნებისა და აგონიის გამოაშკარავება“ (1843 წ. ფილადელფია), აღწერილია როგორ გავრცელდა თამაში ახალი ორლეანიდან მთელს ამერიკაში, მდინარე მისისიპიზე მოცურავე სატრანსპორტო ნავებით, რომლებზეც აზარტული თამაშები გართობის ძალზედ მიღებული საშუალება იყო. როდესაც პოკერი მდინარე მისისიპის გასწვრივ ჩრდილოეთსა და დასავლეთითაც გავრცელდა ე.წ. ოქროს ციებ-ცხელების დროს, იგი ახალი მიწების ამთვისებლების ცხოვრების ნაწილი გახდა. თამაშის ფართოდ გავრცელების შემდეგ პოკერში 52 კარტის გამოყენება დაიწყეს და თამაშს ახალი კომბინაცია „ფლეში“, ხოლო 1850 (ანუ ამ წელს იქნა მოხსენიებული ის თამაშთა წესებში) წელს კი - წილის ყრის წესი დაემატა. ამერიკის სამოქალაქო ომის დროს თამაშს ბევრი სხვა წესიც შეემატა.[3]

თანამედროვე ტურნირები ამერიკულ კაზინოებში მას შემდეგ გახდა პოპულარული, რაც 1970 წელს მსოფლიოს პოკერის სერიები დაიწყო. ადრეული სერიების გამორჩეული ჩემპიონები იყვნენ ჯონი მოსი, ამარილო სლიმი, ბობი ბოლდვინი, დოილ ბრუნსონი და პუგი პირსონი

1.2. სათამაშო ბიზესის განვითარების ისტორია საქართველოში

როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, აზარტულ თამაშებს საქართველოში არცთუ ისე მცირე ხნის ისტორია აქვს. ცნობილია, რომ აზარტული თამაშებით გატაცებული იყო აკაკი წერეთელი. სხვადასხვა წყაროების მიხედვით, მე-

[3] მეტრეველი მ., ტურიზმის შესავალი, თბ., 1012, გვ., 122

19 საუკუნის საქართველოში გარკვეული ტიპის სათამაშო დაწესებულება არსებობდა, რომელსაც ხშირად სტუმრობდნენ ქართული ელიტის წარმომადგენლები. საბჭოთა კავშირის დროს კი, მასში შემავალ ქვეყნებში აზარტული თამაშები აიკრძალა და მხოლოდ ლატარეა იყო დაშვებული. ბუნებრივია, ეს აკრძალვა საქართველოსაც შეეხო. 1920-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა რესპუბლიკებს შორის პირველი სამორინე თბილისში გაიხსნა. ცნობილია, რომ იმ დროს სამორინეს ორგანიზებისთვის საჭირო გადასახადები საკმაოდ მაღალი იყო. დაბეგვრის სისტემა არ იყო ყველაზე ეფექტური, რადგან ითვალისწინებდა პროცენტს მოგებიდან, რაც საკმაოდ რთული გასაკონტროლებელია სამორინეს შემთხვევაში. საქართველო ასევე პირველი რესპუბლიკა იყო, რომელმაც დააწესა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არალეგალური აზარტული თამაშების ორგანიზებისთვის, და ეს მაშინ, როცა აზარტული თამაშები მთელ საბჭოთა კავშირში იყო აკრძალული. 1989 წელს პირველი სამორინე გაიხსნა ბათუმში, ფეშენებელურ ღამის კლუბ „"ინტერკლუბში".

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მოყოლებული, სათამაშო ბიზნესის განვითარება ძალიან მაღალი ტემპებით დაიწყო. 1997 წელს კი საქართველომ დააწესა გადასახადი, რომელიც დაფუძნებული იყო სათამაშო მოწყობილობების რაოდენობაზე, რაც ამ ბიზნესის დაბეგვრის ყველაზე ეფექტური საშუალებაა. არაეფექტური რეგულირების პირობებში სათამაშო ბიზნესი შეიძლება მძიმე სოციალური პრობლემების გამომწვევი გახდეს, მაგრამ დაბალანსირებული მიდგომის შემთხვევაში, სოციალური რისკები მინიმალურია. 2000 წელს საქართველოში მომზადდა კანონპროექტი, რომელიც მთლიანად კრძალავდა სათამაშო ბიზნესს. მთავარ მოტივებად დასახელდა ეფექტური კონტროლის არარსებობა და ქვეყანაში მომუშავე ოპერატორების შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირების არარსებობა. ამკრძალავი ღონისძიებების იდეა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა უმრავლესობით მიიღეს,

მაგრამ 2001 წლის ბიუჯეტი ვერ შესრულდა სათამაშო ბიზნესიდან შემოსული გადასახადების გარეშე და საბოლოოდ აკრძალვა აღარ დამტკიცდა.

2005 წელს საქართველომ - კვლავ რეგიონში პირველმა - მიიღო დეტალური კანონი, რომელიც დღემდე მოქმედებს. წესები შეიცავს სალიცენზიო მოსაკრებლებს, გადასახადს სათამაშო მოწყობილობებზე, ასაკობრივ შეზღუდვებს, სათამაშო ბიზნესის ობიექტების ორგანიზებისა და განთავსების წესებს, ფინანსურ რეგლამენტებს - ყველაფერს, რაც საჭიროა ოპერატორების სრულფასოვანი კონტროლისათვის და რაც წამოადგენს ნორმას ევროპული კანონმდებლობისთვის.

რეგულაციების მიუხედავად, საქართველოში, განსაკუთრებით, თბილისში ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა სამორინეების, სლოტ-კლუბებისა და ტოტალიზატორების რიცხვი. ამაზე მიუთითებს "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მიერ ჩატარებული კვლევაც აზარტული თამაშების ბაზრის შესახებ საქართველოში. კვლევის მიხედვით, აზარტული თამაშების ბიზნესის მნიშვნელოვანი ზრდა დაიწყო 2011 წლიდან, როდესაც ამ სექტორის ბრუნვამ 3.2-ჯერ გადააჭარბა წინა წლის ბრუნვას, ხოლო მიღებულმა მოგებამ 54-ჯერ გადააჭარბა წინა წლის მაჩვენებელს.

ბევრ ქვეყანაში თამაში აკრძალულია ან მკაცრად რეგულირდება. კავკასიის რეგიონში აზარტული თამაშების ორგანიზება მხოლოდ საქართველოსა და სომხეთშია კანონიერი. აზერბაიჯანსა და თურქეთში თამაშები აკრძალულია, რუსეთში მხოლოდ გარკვეულ ტერიტორიებზეა ნებადართული. ამიტომაც, სამორინეების მოწყობა საქართველოში ამ თვალსაზრისით საკმაოდ პერსპექტიულად გამოიყურება. პოლიტიკური და გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით, ჩვენს ქვეყანას რეგიონში კონკურენტი არ ჰყავს.

გარკვეული შეზღუდვები ჩვენშიც არსებობს. ეს ბარიერები ძირითადად ფინანსურია და მათი მიზანი სათამაშო ბიზნესის ტურისტულ ცენტრებში გატანაა. ბათუმი, ქობულეთი, ხელვაჩაური, ანაკლია და განმუხური, გუდაური და ბაკურიანი,

ბორჯომი, ყაზბეგი, წყალტუბო, სიღნაღი, ბაზალეთის ტბა – ეს ის ადგილებია, სადაც ლიცენზია ან უფასოა, ან საკმაოდ დაბალფასიანი. თუმცა არის დამატებითი ნიუანსებიც: მაგალითად, შავი ზღვის სანაპირო ზოლზე ეს პრივილეგია მინიმუმ 80-ადგილიანი სასტუმროს აშენებას მოჰყვება. თუ სასტუმრო არ არის, მაშინ, გეთაყვა – ლიცენზირების მოსაკრებელი ჩვეული ოდენობით.

როგორც ეტყობა, სათამაშო ბიზნესი მაინც სარფიანი საქმეა და მიუხედავად სიძვირისაა , საქართველოში სათამაშო ინდუსტრია უკვე საკმაოდ განვითარებულია – ოფიციალური მონაცემებით, დიდია ე.წ. სლოტ–კაზინოებისა და ტოტალიზატორების ქსელი. რამდენიც უნდა იყოს უცხოეთიდან ჩამოსული მოთამაშე, ბიზნესს ქართველების აზარტულობაც უმაგრებს ზურგს. სათამაშო ინდუსტრია კიდევ უფრო დიდი მასშტაბითაა გავრცელებული ინტერნეტსივრცეში. ინტერნეტში საზღვრები არაა და ადგილობრივი მომხმარებელი არამხოლოდ ქართული საიტებით სარგებლობს. შემზღუდველი მხოლოდ საშუალო ქართველი მომხმარებლის დაბალი მსყიდველუნარიანობაა. საკმაოდ გავრცელებული ფსონის ოდენობა 1 ან 2 ლარია, პოკერის ინტერნეტტურნირების უმეტესობაც ძალიან მცირე შენატანს ითხოვს თავიდან: ყოველივე ეს გათვლილია ქართველი მოთამაშის ჯიბის ზომაზე და ანაზღაურებულია რაოდენობით.

2012-2013 წლებში აზარტული თამაშების სექტორში კიდევ უფრო მასობრივი ზრდა დაფიქსირდა და წლიურმა ბრუნვამ 1.2 მილიარდ ლარს მიაღწია, ხოლო სათამაშო ბიზნესისა და ნებართვის მოსაკრებელმა 105.2 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა, რაც 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 1.4%-ია. რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას, 2013 წელს ამ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 5 046 იყო, რაც ქვეყანაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 0.3% შეადგენს.

ამავე კვლევიდან ირკვევა, რომ 2014 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, საქართველოში 213 სხვადასხვა ტიპის აზარტული თამაშების ნებართვა იყო მოქმედი, მათგან ყველაზე მეტი - 93 ტოტალიზატორის, 55 სათამაშო აპარატების სალონის. არსებული მონაცემებით, ბაზარზე არის 94 მოქმედი საწარმო. აქედან 32 მსხვილი

საწარმოა. ამ ტიპის ბიზნესი ყველაზე ფართოდაა გავრცელებული თბილისში, რომელსაც მოსდევს ბათუმი და ქუთაისი.

რაც შეეხება საშეღავათო ზონებს, მთვრობის [N463–ე] დადგენილებით, 2014 წლის 4 აგვისტოს სამორინეებიის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთებისა და შეღავათების დადგენის წესში ცვლილებები შევიდა, რომლის მიხედვითაც სამორინეს მოწყობაზე მოსაკრებლის წლიურ განაკვეთზე დაწესებული შეღავათი კახეთის რეგიონში, სოფელ კაჭრეთის ტერიტორიაზე გავრცელდა. კაჭრეთის გარდა, გამონაკლისია ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორია. ბათუმში, დუშეთის რაიონში – ბაზალეთის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქობულეთსა და ბორჯომში მოსაკრებელი 250 ათასი ლარია, ის სამორინე კი, რომლის მფლობელიც ქალაქში 100-ნომრიან სასტუმროს გახსნის, სალიცენზიო გადასახადისგან თავისუფლდება. წყალტუბოს რაიონის ტერიტორიაზე სანებართვო მოსაკრებელი სამორინეს მოწყობისათვის გაუქმებულია.

თავი.2 სათამაშო ბიზნესის როლის საქართველოს ეკონომიკაში

2.2. სათამაშო ბიზნესის კანონმდებლობა

სათამაშო ბიზნესის ყველა სახეობა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით საჭიროებს ნებართვას. ამ ტიპის ნებართვის აღება ხდება მხოლოდ სანებართვო მოსაკრებლის გადახდის შემთხვევაში გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ობიექტი განთავისუფლებულია სანებართვო მოსაკრებლისგან (ტურისტული ზონები). სანებართვო მოსაკრებელი არის ზოგადად ერთჯერადი სავალდებულო გადასახდელი საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში ან შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში მაგრამ „აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მეხედვით სანებართვო მოსაკრებელი გადაიხდევინება შესაბამისი ნებართვის აღების დღიდან არა უგვიანეს ყოველი მომდევნო 12 თვისა. ამასთანავე, სათამაშო აპარატების სალონის, სამორინეს, აზარტული კლუბის, ტოტალიზატორის, ლოტოს და ბინგოს მოწყობისათვის პირველი წლის სანებათვო მოსაკრებლები გადაიხდება წინასწარ, შესაბამისი ნებართვების გაცემამდე. აზარტული კლუბის მოწყობის პირველი წლის სანებართვო მოსაკრებელი გადაიხდება სრულად, სამორინეს მოწყობის ან სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის იმ ნებართვის მიმდინარე წლის დასრულებამდე დარჩენილი დღეების მიუხედავად, რომლის საფუძველზედაც გაცემულია აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვა., რომელსაც ლიცენზიის/ნებართვის მაძიებელი გადაიხდის კანონით დადგენილი ოდენობით, სახელმწიფოს მიერ მისთვის კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭებისათვის.

ასევე სათამაშო აპარატების სალონის, სამორინეს, აზარტული კლუბის, ტოტალიზატორის, ლოტოს და ბინგოს მოწყობის ნებართვების ვადაზე ადრე გაუქმების შემთხვევაში ნებართვების მფლობელებს სანებართვო მოსაკრებლების დარჩენილი ნაწილის გადახდის ვალდებულება არ ეკისრებათ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახური (შემდგომში შემოსავლების სამსახური) გასცემს აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის ნებართვებს და ასევე, ამოწმებს კანონით დადგენილი სანებართვო პირობების შესრულებას და გადასახადების გადახდის სისწორეს.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არეგულირებს სათამაშო ბიზნესის ყველა სახეობას. ყველა სახის აზარტული და მომგებიანი თამაშობები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ტარდება, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ნებართვას მოითხოვს.ეს კანონი ადგენს საქართველოში ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების ორგანიზებისა და ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს.ამ კანონის მიზანია საქართველოში ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების სფეროს სახელმწიფო რეგულირება, მოქალაქეთა კანონიერი ინტერესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. უნებართვოდ თამაშობის მოწყობა ან სანებართვო პირობების შეუსრულებლობა კანონის დარღვევად ითვლება და იწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, გარდა წამახალისებელი გათამაშებისა, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია წამახალისებელი გათამაშების მოწყობის უფლებამოსილება მიანიჭოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს. ამ შემთხვევაში წამახალისებელი გათამაშების ჩატარების წესსა და პირობებს ადგენს და საპრიზო ფონდს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

საქართველოს კანონი ლიცენზიებსა და ნებართვებს შესახებ არეგულირებს ისეთ ორგანიზებულ საქმიანობას ან ქმედებას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ

წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან. კანონით დადგენილ შემთხვევაში ამ კანონის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს აგრეთვე არაორგანიზებულ საქმიანობაზე ან ქმედებაზე. ეს კანონი ასევე აწესრიგებს ლიცენზიითა და ნებართვით რეგულირებულ სფეროს, განსაზღვრავს ლიცენზიისა და ნებართვის სახეების ამომწურავ ჩამონათვალს, ადგენს ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის, მათში ცვლილებების შეტანის და მათი გაუქმების წესებს. ნებისმიერი სახის მომგებიანი ან/და აზარტული თამაშობა საქართველოს კანონმდებლობით საჭიროებს ნებართვას.

საქმიანობის ან ქმედების სახელმწიფო რეგულირება ლიცენზიით ან ნებართვით ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმიანობა ან ქმედება უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებულ საფრთხეს ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესის სფეროებს. სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება მხოლოდ მაშინ, თუ ლიცენზიის ან ნებართვის გაცემით რეალურად შესაძლებელია აღნიშნული საფრთხის შემცირება ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინება. ნებართვა – ლიცენზიებსა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით ქმედების განხორციელების უფლება, რომელიც უკავშირდება ობიექტს და ადასტურებს ამ განზრახვის კანონით დადგენილ პირობებთან შესაბამისობას. შესაძლებელია ნებართვის გადაცემა სხვა პირისთვის, თუ ეს კანონით არ არის აკრძალული ან ნებართვა არსობრივად არ არის დაკავშირებული მის მფლობელთან.[4]

საქართველოს კანონმდებლობით ნებართვის გაცემას ექვემდებარება:

ა) წამახალისებელი გათამაშების მოწყობა;

[4] პარლამენტი, ს. (2005 წლის 24 06). *საკანონმდებლო მაცნე.* მოპოვებული ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ N1775: https://matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=78-დან

ბ) სამორინეს მოწყობა;

გ) ტოტალიზატორის მოწყობა;

დ) სათამაშო აპარატების სალონის მოწყობა;

ე) ლოტოს მოწყობა;

ვ) ბინგოს მოწყობა;

ზ) აზარტული კლუბის მოწყობა.

აქედან სამორინე, სათამაშო აპარატების სალონი და აზარტული კლუბი მიჩნეულია აზარტულ თამაშობებად, ხოლო წამახალისებელი გათამაშება, ტოტალიზატორი, ლოტო და ბინგო მომგებიან თამაშობებად.

ლატარია, აზარტულ და მომგებიან თამაშობებს არ მიეკუთვნება თამაშობები, რომლებიც ტარდება მანქანების, აპარატების, მოწყობილობებისა და სხვა საშუალებების გამოყენებით და რომლებშიც გათვალისწინებული არ არის შემთხვევითობის ელემენტი. მათი მიზანია მონაწილეთა განსაკუთრებული ცოდნის, ინტელექტის, სიმარჯვის, მოხერხებულობის ან სხვა განსაკუთრებული უნარის ტესტირება ან დემონსტრირება.[5]

წამახალისებელი გათამაშება – თამაშობა, რომლის დროსაც ორგანიზატორი საჯაროდ გამოქვეყნებული, დადგენილი წესისა და პირობების დაცვით ათამაშებს საპრიზო ფონდს. მოგების დამთხვევა რომელიმე ბილეთზე დამოკიდებული არ არის ორგანიზატორის ან სხვა სუბიექტის ნება-სურვილსა და ქმედებაზე, შემთხვევითობაა და არ შეიძლება იყოს სპეციალურად მოწყობილი. წამახალისებელი გათამაშება ტარდება კონკრეტული სახის პროდუქციის (მომსახურების) სწრაფად და ეფექტიანად რეალიზების მიზნით, ასევე საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ შემთხვევაში. წამახალისებელი გათამაშების ბილეთი გაიცემა უფასოდ. წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვა გაიცემა

[5] პარლამენტი, ს. (2005 წლის 25 03). *საკანონმდებლო მაცნე.* მოპოვებული ლატარიების,აზარტული და *მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ N1180:* https://matsne.gov.ge/ka/document/view/30988?publication=32-დან

კონკრეტული სახის პროდუქციის (მომსახურების) მწარმოებელზე ან მის წარმომადგენელზე, გარდა საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი შემთხვევისა. დაუშვებელია წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობისთვის ნებისმიერი ფორმით საფასურის დაწესება;

წამახალისებელი გათამაშების ეტაპი – პროცესი, რომელიც იწყება ბილეთების დამზადებიდან და რეალიზაციიდან და მთავრდება საპრიზო ფონდის გათამაშებით. აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის სწრაფად და ეფექტიანად რეალიზაციის მიზნით წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვის გაცემა. ასევე აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის წამახალისებელ გათამაშებასა და ლატარიაში პრიზებად გამოყენება ან/და ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების საშუალებით დარიგება.

წამახალისებელი გათამაშების საპრიზო ფონდის ოდენობა არ არის შეზღუდული. მას განსაზღვრავს ორგანიზატორი. საპრიზო ფონდის ოდენობა ფიქსირდება წამახალისებელი გათამაშების მოწყობის პირობებში (რეგლამენტში). წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით.

წამახალისებელი გათამაშების მოგებათა ოფიციალური ცხრილი უნდა გამოქვეყნდეს გათამაშებიდან არა უგვიანეს 3 კალენდარული დღისა.

წამახალისებელი გათამაშების ერთი ეტაპის დასრულებამდე დაუშვებელია წამახალისებელი გათამაშების მოწყობის პირობებში (რეგლამენტში) ცვლილების შეტანა, გარდა ბილეთების რაოდენობისა და ნუმერაციის ცვლილებისა. აღნიშნულის თაობაზე წამახალისებელი გათამაშების ორგანიზატორმა ცვლილების განხორციელებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში, ინფორმაციის სახით უნდა აცნობოს შემოსავლების სამსახურს.

დაუშვებელია წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვით ორი ან ორზე მეტი ეტაპის ერთდროულად ჩატარება.

წამახალისებელი გათამაშების ორგანიზატორი ვალდებულია გათამაშების ყოველი ახალი ეტაპის მოწყობისთვის თანხმობის მისაღებად შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) წამახალისებელი გათამაშების მოწყობის პირობები (რეგლამენტი);

ბ) წამახალისებელი გათამაშების (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი თამაშობისა) ბილეთის ნიმუში;

გ) ხელშეკრულება წამახალისებელი გათამაშების ორგანიზატორსა და იმ პირს შორის, რომელიც ამზადებს წამახალისებელი გათამაშების (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი თამაშობისა) ბილეთებს, დასამზადებელი ბილეთების რაოდენობის მითითებით.

ლატარიის და მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი, გათამაშებას ატარებს ბილეთების არასრულად რეალიზების შემთხვევაშიც.

წამახალისებელი გათამაშების ორგანიზატორი ვალდებულია უზრუნველყოს წამახალისებელი გათამაშების მოწყობის პირობების (რეგლამენტის) საჯაროობა და მოთამაშეებისათვის მათი დაუბრკოლებლად მიწოდება, აგრეთვე კომისიის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს საპრიზო ფონდის გათამაშებას წამახალისებელი გათამაშების მოწყობის პირობების (რეგლამენტის) დაცვით და მათ შესაბამისად.

წამახალისებელი გათამაშების ორგანიზატორი ვალდებულია, გათამაშების მიმდინარეობისა და შედეგების თაობაზე ინფორმაცია 2 დღის ვადაში წარუდგინოს შემოსავლების სამსახურს. [6]

სამორინე – სპეციალური სათამაშო დაწესებულება, რომელშიც ორგანიზატორი სათამაშო ბორბლის (რულეტის), ბანქოს, სამორინეს მაგიდის, კლუბის მაგიდის, კამათლის ან/და სხვა სათამაშო ინვენტარის (გარდა სათამაშო აპარატისა) საშუალებით ახორციელებს აზარტულ თამაშობებს და ფულადი მოგების

[6] პარლამენტი, ს. (2005 წლის 25 03). *საკანონმდებლო მაცნე*. მოპოვებული ლატარიების,აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ N1180: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30988?publication=32-დან

გათამაშებას; სამორინეს მოწყობის ნებართვა გაიცემა 5 წლის ვადით თითოეული ობიექტის ფუნქციონირებისთვის.

21 წლამდე ასაკის პირისათვის სამორინეში ან/და აზარტულ კლუბში მოწყობის ადგილას შესვლა ან/და თამაშობაში (მათ შორის, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ თამაშობაში) მონაწილეობა აკრძალულია. აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი ვალდებულია პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით უზრუნველყოს აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ადგილას შესული პირის ასაკის შემოწმება, თუ არსებობს გონივრული ვარაუდის საფუძველი, რომ მისი ასაკი არ აკმაყოფილებს ამ პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

სამორინეს მაგიდების, კლუბის მაგიდებისა და სათამაშო აპარატების თამაშობისათვის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ განმასხვავებელი აღნიშვნის (საქარხნო ნომრის) არსებობის შემთხვევაში.

1. სამორინეში დამონტაჟებული უნდა იყოს და უნდა ფუნქციონირებდეს არანაკლებ შვიდი სამორინეს მაგიდისა, მათგან ერთი – სათამაშო ბორბალზე (რულეტზე) სათამაშოდ.

2. სამორინე უნდა შედგებოდეს კლიენტთა მომსახურების ზონისა და სამსახურებრივი სათავსების ზონისაგან. თითოეული ზონისთვის უნდა არსებობდეს ცალკე შესასვლელი.

3. კლიენტებთან ფულადი ანგარიშსწორების წარმოების სალარო აღჭურვილი უნდა იყოს ჯავშნიანი ფანჯრით, შესაბამის დაცვის სამსახურთან დამაკავშირებელი საგანგაშო სიგნალით და უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სამსახურებრივი სათავსების ზონაში უნდა შედიოდეს სეიფი.

სამორინეს მოწყობის ნებართვის მფლობელი აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში შემოსავლების სამსახურს თანხმობის მისაღებად წარუდგენს:

ა) ფაქტობრივი მისამართი, საიდანაც მოხდება მომგებიანი თამაშობების მართვა და ორგანიზება;

ბ) თამაშობების ჩამონათვალი და აღწერილობები;

გ) მოგების გაცემის ადგილი (ადგილები) და ზღვრული ვადა, სალაროს მოწყობისათვის განკუთვნილი უძრავი ქონების მისამართი (მისამართები)); პრეტენზიის განხილვის ვადა;

დ) ინტერნეტით მოწყობის შემთხვევაში – ვებგვერდის მისამართი, მოთამაშის რეგისტრაციის წესი; დეპოზიტის/ბალანსის მართვის წესი; ვებგვერდზე ქართულ ენაზე მითითებული უნდა იყოს ორგანიზატორის დასახელება, იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, ნებართვის ნომერი, თამაშობების ჩამონათვალი, თამაშის დეტალური წესები, ინფორმაცია 18 წლამდე პირთა თამაშობაში მონაწილეობის აკრძალვის შესახებ;

2. სამორინეს მოწყობის ნებართვის მფლობელი აზარტული ტურნირის გამართვის შემთხვევაში აზარტული ტურნირის მოწყობამდე 2 სამუშაო დღით ადრე, ინფორმაციის სახით შემოსავლების სამსახურს წარუდგენს აზარტული ტურნირის მოწყობისა და ჩატარების პირობებს, რომელშიც ასევე უთითებს აზარტული ტურნირის დაწყებისა და დასრულების თარიღებს, კლუბის მაგიდების რაოდენობას.

სამორინეს მოწყობის ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებელმა შემოსავლების სამსახურს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) სამორინეს მოწყობის პირობები (რეგლამენტი), რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს: სამორინეში არსებული სამორინეს მაგიდების ან/და კლუბის მაგიდების ჩამონათვალი, სახელწოდების, საქარხნო ნომრის, დამზადების წლის და დამამზადებელი ქვეყნის მითითებით; მინიმალური და მაქსიმალური ფსონები; სამორინეს მუშაობის წესები; სამორინეში მოქცევის წესები; სამორინეში მიმდინარე თამაშობების წესები; კლუბის მაგიდის არსებობის შემთხვევაში – მომსახურების პროცენტის ოდენობა; მოგების გაცემის ვადა და ადგილი; პრეტენზიის განხილვის ვადა;

ბ) სათამაშო ჟეტონის ნიმუშები.

გ) ნებართვის მაძიებლის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის, დამფუძნებლის/პარტნიორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ნასამართლობის შესახებ ცნობა;[7]

ტოტალიზატორი – თამაშობა, რომელიც იმართება მოთამაშეების მიერ შეჯიბრების მიმდინარეობის, თამაშობის, რაიმე მოვლენის (მოვლენების) შედეგის პროგნოზზე ფსონების დადებით, ხოლო მოგება დამოკიდებულია ფსონის მოცულობაზე და შედეგზე. აკრძალულია ტოტალიზატორის მოწყობა ისეთ შემთხვევებში, როცა შედეგი შესაძლოა წინასწარ იყოს ცნობილი ერთ-ერთი ან ორივე მხარისთვის. ტოტალიზატორი იმართება სპეციალურად მოწყობილ შენობა-ნაგებობაში ან შენობა-ნაგებობის ნაწილში;

ტოტალიზატორი – თამაშობა, რომელიც იმართება მოთამაშეების მიერ შეჯიბრების მიმდინარეობის, თამაშობის, რაიმე მოვლენის (მოვლენების) შედეგის პროგნოზზე ფსონების დადებით, ხოლო მოგება დამოკიდებულია ფსონის მოცულობაზე და შედეგზე. აკრძალულია ტოტალიზატორის მოწყობა ისეთ შემთხვევებში, როცა შედეგი შესაძლოა წინასწარ იყოს ცნობილი ერთ-ერთი ან ორივე მხარისთვის. ტოტალიზატორი იმართება სპეციალურად მოწყობილ შენობა-ნაგებობაში ან შენობა-ნაგებობის ნაწილში;

ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობა შეუძლია მხოლოდ ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვის მფლობელს ამ ნებართვის ფარგლებში. ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობისთვის ცალკე ნებართვა არ გაიცემა. ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვა გაიცემა 5 წლის ვადით და მოწყობის ნებართვა გაიცემა თითოეული ობიექტის ფუნქციონირებისთვის.

---

[7] პარლამენტი, ს. (2005 წლის 25 03). *საკანონმდებლო მაცნე.* მოპოვებული ლატარიების,აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ N1180: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30988?publication=32-დან

ტოტალიზატორის მოწყობის შემთხვევაში „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების გარდა შემოსავლების სამსახურს უნდა წარუდგინოს საპრიზო ფონდის არანაკლებ 10000 ლარის ოდენობით უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხელშეკრულება ნებართვის მაძიებელსა და იმ პირს შორის, რომელიც ამზადებს მომგებიანი თამაშობის (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი თამაშობისა) ბილეთებს, დასამზადებელი ბილეთების რაოდენობის მითითებით, მომგებიანი თამაშობის მოწყობის პირობები (რეგლამენტი), რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს:

ა) მომგებიანი თამაშობის ჩატარების ვადა და ადგილი;

ბ) მომგებიანი თამაშობის მოგების გაცემის ადგილი, თარიღი და ზღვრული ვადა. მომგებიანი თამაშობის მოგებების გაცემის საერთო ვადაა გათამაშებიდან 30 კალენდარული დღე. მოგება უნდა გაიცეს მომგებიანი ბილეთის წარდგენიდან არა უგვიანეს 6 დღისა;

გ) პრეტენზიის განხილვის ვადა;

დ) მომგებიანი თამაშობის ბილეთების რაოდენობა და ნუმერაცია;

ე) თამაშობის ზოგადი წესი (წამახალისებელი გათამაშების მოწყობის შემთხვევაში წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი თამაშობის ზოგადი წესი (თამაშობის მიზეზი და მიზანი) უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს);

მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით აკრძალულია იმ თამაშობის გამართვა, რომელიც გათვალისწინებული არ არის მომგებიანი თამაშობის მოწყობის პირობებით (რეგლამენტით), ხოლო ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში – სისტემურ-ელექტრონული თამაშობის წესით.

სათამაშო აპარატების სალონი – სპეციალურად მოწყობილი შენობა-ნაგებობა ან შენობა-ნაგებობის ფართობის ნაწილი (მათ შორის, გამოყოფილი ფართობის ნაწილი),

სადაც განთავსებულია სათამაშო აპარატები. სათამაშო აპარატების სალონში განთავსებული სათამაშო აპარატი არ უნდა ჩანდეს შენობა-ნაგებობის გარეთა მხრიდან. სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვა ასევე გაიცემა 5 წლის ვადით.

სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებელმა, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, შემოსავლების სამსახურს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის პირობები (რეგლამენტი), რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს:

ა. ა) აზარტული თამაშობების ჩატარების ვადა და ადგილი;

ა. ბ) სათამაშო აპარატების ჩამონათვალი (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი თამაშობისა), სახელწოდების, მოდიფიკაციის, საქარხნო ნომრის, დამზადების წლის, დამამზადებელი ქვეყნის, თითოეულ აპარატზე მინიმალური და მაქსიმალური ფსონებისა და მოგების მაქსიმალური ოდენობის მითითებით;

ა. გ) სათამაშო აპარატების სალონში მიმდინარე თამაშობების ჩამონათვალი და თამაშის წესები;

ა. დ) პრეტენზიის განხილვის ვადა;

ბ) აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში – სისტემურ-ელექტრონული თამაშობის წესი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ბ. ა) ფაქტობრივი მისამართი, საიდანაც მოხდება მომგებიანი თამაშობების მართვა და ორგანიზება;

ბ. ბ) თამაშობების ჩამონათვალი და აღწერილობები;

ბ. გ) მოგების გაცემის ადგილი (ადგილები) და ზღვრული ვადა (თუ მოგება გაიცემა გარეთ განთავსებული სალაროს მეშვეობით საფუძველზე – სალაროს მოწყობისათვის

განკუთვნილი უძრავი ქონების მისამართი (მისამართები); პრეტენზიის განხილვის ვადა;

ბ. დ) ინტერნეტით მოწყობის შემთხვევაში – ვებგვერდის მისამართი, მოთამაშის რეგისტრაციის წესი; დეპოზიტის/ბალანსის მართვის წესი; ვებგვერდზე ქართულ ენაზე მითითებული უნდა იყოს ორგანიზატორის დასახელება, იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, ნებართვის ნომერი, თამაშობების ჩამონათვალი, თამაშის დეტალური წესები, ინფორმაცია 18 წლამდე პირთა თამაშობაში მონაწილეობის აკრძალვის შესახებ;

ბ. ე) ტელეფონით მოწყობის შემთხვევაში – საქართველოში რეგისტრირებული ტელეფონის ნომერი.

2. სათამაშო აპარატების სალონში აკრძალულია იმ თამაშობის გამართვა, რომელიც გათვალისწინებული არ არის სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის პირობებით (რეგლამენტით), ხოლო აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში – სისტემურ-ელექტრონული თამაშობის წესით.

აზარტული თამაშობის ორგანიზატორი ვალდებულია სამორინეში, სათამაშო აპარატების სალონსა და აზარტულ კლუბში მიმდინარე თამაშობების ჩამონათვალსა და თამაშის წესებში ცვლილების შეტანის შემთხვევაში თანხმობის მისაღებად, ხოლო სხვა ცვლილების შემთხვევაში – ცვლილების განხორციელებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში, ინფორმაციის სახით აცნობოს შემოსავლების სამსახურს. სათამაშო აპარატების სალონში აკრძალულია 18 წლამდე პირების დაშვება როგორც სათამაშოდ ისე სამუშაოდ. სათამაშო აპარატებზე გათვალისწინებული უნდა იყოს დადებული ფსონის სულ ცოტა 80 პროცენტი მოგება.

ლოტო – ჯგუფური თამაშობა, რომლის მონაწილეც ირჩევს რიცხვით ან სიმბოლოების კომბინაციებს და რომელშიც მოგება დამოკიდებულია რიცხვითი ან სიმბოლოების კომბინაციების მთლიან ან ნაწილობრივ დამთხვევაზე და მოგება განისაზღვრება საპრიზო ფონდის ოდენობიდან. ლოტო ტარდება სპეციალურად

მოწყობილ შენობაში და მის მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება შენობაში არსებული სათამაშო ადგილების რაოდენობით;

ბინგო – ჯგუფური თამაშობა, რომელშიც რიცხვითი ბარათების ან ელექტროტაბლოს მეშვეობით ფიქსირდება მოგება სპეციალური მოწყობილობიდან ამოსული რიცხვითი კომბინაციების დამთხვევით და მოგება განისაზღვრება საპრიზო ფონდის ოდენობიდან. ბინგო ტარდება სპეციალურად მოწყობილ შენობაში და მის მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება შენობაში არსებული სათამაშო ადგილების რაოდენობით;

ლოტოს, ბინგოს საპრიზო ფონდის ოდენობა უნდა შეადგენდეს მოცემულ გათამაშებაში რეალიზებული ბილეთების ჯამური ღირებულების არანაკლებ 45 პროცენტს.

ლოტოს და ბინგოს გამართვის ნებართვები ასევე გაიცემა 5 წლის ვადით და თითოეული ობიექტის ფუნქციონირებისთვის. შესაძლებელია ლოტოსა და ბინგოს ობიექტების ადგილმდებარეობის შეცვლა უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილებების შეტანის გზით.

ტოტალიზატორის, ლოტოსა და ბინგოს ობიექტების ადგილმდებარეობის შეცვლის შემთხვევაში მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორმა შემოსავლების სამსახურს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) გაცემული სანებართვო მოწმობის დედანი;

გ) ხელშეკრულება ნებართვის მფლობელსა და იმ პირს შორის, რომელიც ამზადებს მომგებიანი თამაშობის (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით გამართული თამაშობებისა) ბილეთებს, დასამზადებელი ბილეთების რაოდენობის მითითებით;

დ) მომგებიანი თამაშობის მოწყობის პირობები (რეგლამენტი);

ე) მომგებიანი თამაშობის (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი თამაშობისა) ბილეთის ნიმუში.

ამ კანონის მიზნებისთვის უწყებრივი სანებართვო რეესტრი – მონაცემთა

სისტემური ერთობლიობა ნებართვების გაცემის, მათში ცვლილებების შეტანის და მათი გაუქმების თაობაზე, ხოლო ნებართვის მფლობელი პირი, რომელსაც ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე მინიჭებული აქვს უფლება, განახორციელოს ნებართვით განსაზღვრული ქმედება, ან სხვა ნებართვის მფლობელის მიერ გადაცემული აქვს სანებართვო ქმედების განხორციელების უფლება;

სანებართვო მოსაკრებელი – ერთჯერადი სავალდებულო გადასახდელი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ან შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში (თუ ნებართვას გასცემს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო), რომელსაც ნებართვის მაძიებელი იხდის კანონით ან კანონის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ (თუ ნებართვას გასცემს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო) დადგენილი ოდენობით, მისთვის კანონით განსაზღვრული სანებართვო ქმედების განხორციელების უფლების მინიჭებისათვის. სანებართვო მოსაკრებლით გაითვალისწინება ნებართვის გაცემის ადმინისტრირების ხარჯები; სანებართვო პირობები – კანონით ან კანონის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნებისა და ინფორმაციის ამომწურავი ნუსხა, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ნებართვის მაძიებელი ნებართვის მისაღებად და ნებართვით განსაზღვრული ქმედების განხორციელებისას;

აზარტული კლუბი – სპეციალურად მოწყობილი შენობა-ნაგებობა ან შენობა-ნაგებობის ფართობის ნაწილი (მათ შორის, გამოყოფილი ფართობის ნაწილი), სადაც განთავსებულია კლუბის მაგიდა (მაგიდები), რომელიც არ უნდა ჩანდეს შენობა-ნაგებობის გარეთა მხრიდან.

აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვა გაიცემა მხოლოდ ქალაქ თბილისში სამორინეს ან/და სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის მფლობელ პირზე. აზარტული კლუბი უნდა მოეწყოს სამორინეს დარბაზისაგან ან/და სათამაშო აპარატების სალონისაგან დამოუკიდებლად, ცალკე ობიექტად.

აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვა – სამორინეს მოწყობის ან სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის იმ ნებართვის მოქმედების დარჩენილი ვადით, რომლის საფუძველზედაც გაცემულია აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვა, ასევე თითოეული ობიექტის ფუნქციონირებისთვის.

აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებელმა, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, შემოსავლების სამსახურს უნდა წარუდგინოს აზარტული კლუბის მოწყობის პირობები (რეგლამენტი), რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს: აზარტულ კლუბში არსებული კლუბის მაგიდების ჩამონათვალი, სახელწოდების, საქარხნო ნომრის, დამზადების წლის და დამამზადებელი ქვეყნის მითითებით; კლუბის მაგიდაზე მომსახურების პროცენტის ოდენობა; აზარტული კლუბის მუშაობის წესები; აზარტულ კლუბში მოქცევის წესები; აზარტულ კლუბში მიმდინარე თამაშობების წესები; სათამაშო ჟეტონის ნიმუშები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

აკრძალულია აზარტულ კლუბში იმ თამაშობის გამართვა, რომელიც გათვალისწინებული არ არის აზარტული კლუბის მოწყობის პირობებით (რეგლამენტით).

აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვის მფლობელი აზარტული ტურნირის გამართვის შემთხვევაში აზარტული ტურნირის მოწყობამდე 2 სამუშაო დღით ადრე, ინფორმაციის სახით შემოსავლების სამსახურს წარუდგენს აზარტული ტურნირის მოწყობისა და ჩატარების პირობებს, რომელშიც ასევე უთითებს აზარტული ტურნირის დაწყებისა და დასრულების თარიღებს, კლუბის მაგიდების რაოდენობას.

ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს თამაშობების მოწყობის ადგილზე საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების, მოთამაშეთა და სხვა პირთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა;

ბ) აწარმოოს გაცემულ მოგებათა რეგისტრაცია, შექმნას ელექტრონული ბაზა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს წარუდგინოს ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) ჩაატაროს თამაშობა და გასცეს მოგებები წარმოდგენილი მოწყობის პირობების (რეგლამენტის) შესაბამისად;

დ) მოთხოვნის შემთხვევაში მოთამაშეს მისცეს წერილობითი ცნობა მოგების მიღების შესახებ;

ე) მოთამაშეთა პრეტენზიებთან დაკავშირებით მიიღოს გადაწყვეტილება მოწყობის პირობებით (რეგლამენტით) გათვალისწინებულ ვადებში;

ვ) საიდუმლოდ შეინახოს მონაცემები მოთამაშის მიერ მოგებულ ან წაგებულ თანხებზე და ინფორმაცია მათ შესახებ გასცეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ზ) დროულად გადაიხადოს თამაშობის მოწყობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოსაკრებლები და გადასახადები;

თ) არ დაუშვას დამატებითი პირობების მოთხოვნა მოგებულ მოთამაშეზე მოგების გაცემისას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევების გარდა;

ი) შეასრულოს ამ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით მისთვის დაკისრებული მოვალეობები;

კ)აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის საქმიანობის შეწყვეტამდე/განახლებამდე წერილობით აცნობოს შემოსავლების სამსახურს ამ საქმიანობის შეწყვეტის/განახლების თაობაზე;

ლ) ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობის გადაზიდვის ოპერაციები განახორციელოს სპეციალიზებული საინკასაციო სამსახურების საშუალებით, თუ მისი ყოველთვიური შემოსავალი აღემატება 10000 ლარს;

მ) სანებართვო პირობების შესრულების შემოწმებისას შემმოწმებელს შეუქმნას სამუშაო პირობები და მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ წარუდგინოს სანებართვო პირობებთან დაკავშირებული საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია (გარდა ლატარიის ორგანიზატორისა);

ნ) სამორინე, აზარტული კლუბი, სათამაშო აპარატების სალონი, ტოტალიზატორისათვის, ლოტოსა და ბინგოსათვის სპეციალურად მოწყობილი შენობა-ნაგებობები უზრუნველყოს მუდმივი დენის წყაროთი, აღჭურვოს დარბაზში, სალაროსთან, შემოსასვლელში და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემით. ვიდეომეთვალყურეობის სისტემა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილ მოთხოვნებს. დარბაზში, სალაროსთან და შემოსასვლელში ვიდეოჩაწერა უნდა მიმდინარეობდეს ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, სამორინეს, აზარტული კლუბისა და სათამაშო აპარატების სალონის მუშაობის მთელ პერიოდში, ხოლო გარე პერიმეტრზე – მუდმივად. ვიდეოჩაწერის შედეგად მიღებული ელექტრონული მატარებლები, შესაბამისი ჩანაწერებით, არანაკლებ 30 დღისა უნდა ინახებოდეს სათანადოდ დაცულ ადგილზე და დასაბუთებული მოთხოვნისთანავე წარედგინება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან/და სხვა უფლებამოსილ ორგანოებს. სალარო უნდა აღიჭურვოს ჯავშნიანი ფანჯრით და შესაბამის დაცვის სამსახურთან დამაკავშირებელი საგანგაშო სიგნალით;

ო) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში უზრუნველყოს თითოეული მოთამაშის რეგისტრაცია პერსონალური საიდენტიფიკაციო მონაცემების მიხედვით;

პ) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში უზრუნველყოს მონაცემთა ბაზის დაცვა;

ჟ) ჩაატაროს თამაშობა და გასცეს მოგებები წარმოდგენილი სისტემურ-ელექტრონული თამაშობის წესის შესაბამისად;

რ) აზარტული ტურნირის ჩატარების შემთხვევაში უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების, აგრეთვე მოთამაშეთა ინტერესების დაცვა.

2. აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორს ეკრძალება მოთამაშეებზე სესხის გაცემა ფსონის დასადებად.

3. ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორს ეკრძალება არასრულწლოვან პირებთან შრომითი ხელშეკრულების დადება, რომლის მიხედვითაც მათ ევალებათ თამაშობის ჩატარების ადგილზე მუშაობა, თამაშობის ორგანიზების ან ჩატარების კონტროლი.[8]

კონტროლი სანებართვო პირობების შესრულებაზე

1. ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შესრულებას აკონტროლებს ნებართვის გამცემი. ნებართვის გამცემი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი, თუ აღნიშნული ფუნქცია კანონმდებლობით სხვა ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციას არ განეკუთვნება. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება ნებართვის გამცემის კონტროლს დაექვემდებაროს ასევე სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და მათი დარღვევისას გამოყენებული იქნეს ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ფორმები.

2. ნებართვის გამცემი კონტროლს ახორციელებს მხოლოდ სანებართვო პირობების შესრულების შერჩევითი შემოწმებით.

3. ნებართვის გამცემი სანებართვო პირობების შესრულების კონტროლს ახორციელებს მხოლოდ სანებართვო პირობების შემოწმებით. ნებართვის გამცემს უფლება არა აქვს შეამოწმოს ან მოითხოვოს ისეთი ფაქტობრივი გარემოებების

[8] პარლამენტი, ს. (2005 წლის 25 03). *საკანონმდებლო მაცნე.* მოპოვებული ლატარიების,აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ N1180: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30988?publication=32-დან

წარდგენა, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების დაცვასთან.

4. ნებართვის გამცემის გადაწყვეტილება შერჩევითი შემოწმების განხორციელების შესახებ ადმინისტრაციული აქტია. ნებართვის გამცემი შერჩევითი შემოწმების განხორციელებისას ვალდებულია ნებართვის მფლობელს წარუდგინოს აღნიშნული ადმინისტრაციული აქტი.

5. ნებართვის გამცემის გადაწყვეტილებით შერჩევითი შემოწმების განხორციელებაში შესაძლებელია მონაწილეობა მიიღონ სხვა ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლებმა.

6. ნებართვის გამცემი ვალდებულია შერჩევითი შემოწმების დასრულების შემდეგ შეადგინოს შესაბამისი შემოწმების აქტი, რომელიც შეიტანება ნებართვის გამცემის მიერ სპეციალურად ამისათვის წარმოებულ რეესტრში.

7. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ნებართვის გამცემს სანებართვო პირობების შერულების კონტროლის განხორციელება შეუძლია კალენდარული წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ.[9]

ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შეუსრულებლობისათვის, ნებართვის სახეობების მიხედვით, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა შეადგენს:

ა) სამორინეს მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ – 7 000 ლარს;

ბ) სამორინეს მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ, სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში – 20 000 ლარს;

გ) ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ – 2 000 ლარს;

---

[9] პარლამენტი, ს. (2005 წლის 24 06). *საკანონმდებლო მაცნე.* მოპოვებული ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ N1775: მუხლი 21 https://matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=78-დან

დ) ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ, სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში – 10 000 ლარს;

ე) სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ – 1 000 ლარს;

ვ) სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ, სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში – 10 000 ლარს;

ზ) ლოტოს მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ – 1 000 ლარს;

თ) ლოტოს მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ, სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში – 2 000 ლარს;

ი) ბინგოს მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ – 1 000 ლარს;

კ) ბინგოს მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ, სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში – 2 000 ლარს;

ლ) წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ – 1000 ლარს;

მ) ლატარიების, აზარტული ან მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორის მიმართ, ფულადი სახსრებისა, თუ მისი ყოველთვიური შემოსავალი აღემატება 10000 ლარს, სპეციალიზებული საინკასაციო სამსახურების საშუალების გარეშე გადატანა გამოიწვევს დაჯარიმებას – 1000 ლარის ოდენობით.

ნ) აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ – 2 000 ლარს;

ო) აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვის მფლობელის მიმართ, მის მიერ სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში – 10 000 ლარს.

2. არაუფლებამოსილი პირის მიერ ლატარიის ორგანიზება ან/და მოწყობა იწვევს მის დაჯარიმებას 50000 ლარით.

3. არაუფლებამოსილი პირის მიერ ლატარიის ყოველი მომდევნო ორგანიზება ან/და მოწყობა იწვევს მის დაჯარიმებას 150000 ლარით.[10]

პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების დარღვევისათვის. ნებართვის გაუქმება:

1. ნებართვის მფლობელის მიერ კანონით დადგენილი სანებართვო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს ნებართვის მფლობელის დაჯარიმებას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება კანონით. ნებართვის გამცემი განსაზღვრავს გონივრულ ვადას სანებართვო პირობების დაკმაყოფილებისათვის და დაადგენს იმ პირობებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია კონკრეტული ქმედების განხორციელებისათვის.

2. პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად, დადგენილ ვადაში ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შეუსრულებლობა (გარდა სათამაშო აპარატების სალონის, სამორინეს, ტოტალიზატორის, ლოტოსა და ბინგოს მოწყობის ნებართვების მფლობელების მიერ სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევისა) გამოიწვევს დაკისრებული ჯარიმის გასამმაგებას. ნებართვის მფლობელს ჯარიმის დაკისრებისას განესაზღვრება ვადა და შესაბამისი პირობები სანებართვო პირობების დაკმაყოფილებისთვის.

3. გასამმაგებული ჯარიმის დაკისრებიდან დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, თუ ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობები არ იქნება დაკმაყოფილებული, დაკისრებული ჯარიმა გასამმაგდება.

4. თუ მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად ნებართვის მფლობელის მიერ არ იქნა უზრუნველყოფილი სანებართვო პირობების შესრულება, ნებართვის გამცემი იღებს გადაწყვეტილებას ნებართვის გაუქმების შესახებ.

---

[10] პარლამენტი, ს. (2005 წლის 25 03). *საკანონმდებლო მაცნე.* მოპოვებული ლატარიების,აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ N1180: მუხლი 37[1] https://matsne.gov.ge/ka/document/view/30988?publication=32-დან

4^{1}. სამორინეს მოწყობის ნებართვის/სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის გაუქმების შემთხვევაში უქმდება აღნიშნული ნებართვის საფუძველზე გაცემული აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვა.

5. ნებართვის გამცემმა ნებართვის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა დაასაბუთოს პასუხისმგებლობის ამ ფორმის გამოყენების აუცილებლობა.

6. ნებართვის გაუქმება ნიშნავს ნებართვის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად ძალადაკარგულად გამოცხადებას.[11]

აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის ნებართვა და შეღავათები:

ა) წამახალისებელი გათამაშების მოწყობა – 15 000 ლარი;

ბ) სათამაშო აპარატების სალონის მოწყობა – წელიწადში 50 000 ლარიდან 1 000 000 ლარის ჩათვლით;

გ) ლოტოსა და ბინგოს მოწყობა (თითოეული სახეობა) – წელიწადში 15 000 ლარი;

დ) ტოტალიზატორის მოწყობა – წელიწადში 30 000 ლარიდან 300 000 ლარის ჩათვლით;

ე) სამორინეს მოწყობა:

(ე.ა) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (გარდა ქალაქ ბათუმისა, დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ტბის მიმდებარე ტერიტორიისა, გუდაურის განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიისა, დაბა ბაკურიანის ტერიტორიისა, აგრეთვე ქობულეთის, ბორჯომის, წყალტუბოსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებისა) – წელიწადში არაუმეტეს 5 000 000 ლარისა;

[11] პარლამენტი, ს. (2005 წლის 24 06). *საკანონმდებლო მაცნე.* მოპოვებული ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ N1775: მუხლიN34 https://matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=78-დან

ე.ბ) ქალაქ ბათუმში, დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე ქობულეთისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტებში – წელიწადში 250 000 ლარი;

ვ) აზარტული კლუბის მოწყობა – წელიწადში 10 000 ლარიდან 50 000 ლარის ჩათვლით. [12]

სანებართვო მოსაკრებლის გადახდისაგან თავისუფლდება სამორინეს მოწყობა გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე, დაბა ბაკურიანის ტერიტორიაზე, ასევე წყალტუბოსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე.

სანებართვო მოსაკრებლის გადახდისაგან თავისუფლდება სამორინეს მოწყობა გუდაურის განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიაზე, დაბა ბაკურიანის ტერიტორიაზე, აგრეთვე წყალტუბოსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე.

სანებართვო მოსაკრებლის გადახდისაგან თავისუფლდება ქალაქ ბათუმში, აგრეთვე ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში ახლად აშენებული არანაკლებ ასნომრიანი სასტუმროს ტერიტორიაზე სამორინეს მოწყობა, ასევე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ანაკლიასა და სოფელ განმუხურში ახლად აშენებული არანაკლებ ოთხმოცნომრიანი სასტუმროს ტერიტორიაზე სამორინეს მოწყობა ახლად აშენებული სასტუმროს ტერიტორიაზე სამორინეს მოწყობის ნებართვის გაცემიდან 10 წლის განმავლობაში.

ზემოთაღნიშნულის მიზნებისათვის პირობებს, რა შემთხვევაშიც ჩაითვლება სასტუმრო ახლად აშენებულად, განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

საქართველოს მთავრობა ამ კანონის განაკვეთის ფარგლებში ადგენს სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის განაკვეთებს (მათ შორის, სამორინეს მოწყობის ნებართვის მფლობელისთვის). საქართველოს მთავრობა

[12] პარლამენტი, ს. (2003 წლის 12 08). *საკანონმდებლო მაცნე.* მოპოვებული სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ N2937: https://matsne.gov.ge/ka/document/view/12880?publication=67-დან

უფლებამოსილია მის მიერ დადგენილი სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის განაკვეთი მისი ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში გაზარდოს არა უმეტეს 30%-ით, ამ კანონით გათვალისწინებული განაკვეთის ფარგლებში.

ქალაქ თბილისში სამორინეს მოწყობის ნებართვის მფლობელი საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე თავისუფლდება არა უმეტეს 3 აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვის მისაღებად დაწესებული სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან.

ქალაქ თბილისში სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის მფლობელი საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე თავისუფლდება 1 აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვის მისაღებად დაწესებული სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან.

საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია სამორინეს მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის გადახდაზე დაადგინოს შეღავათები (სრული ან ნაწილობრივი განთავისუფლება).[13]

მოსაკრებლის ცნება, მისი ობიექტები და განაკვეთები[14]

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ცნება

1. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი ადგილობრივ ბიუჯეტში, რომელიც დადგენილია სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად.

2. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელს იხდიან სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადამხდელი პირები სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით.

---

[13] პარლამენტი, ს. (2003 წლის 12 08). *საკანონმდებლო მაცნე.* მოპოვებული სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ N2937: https://matsne.gov.ge/ka/document/view/12880?publication=67-დან

[14] პარლამენტი, ს. (2006 წლის 29 12). *საკანონმდებლო მაცნე.* მოპოვებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ N4250: მუხლიN1 https://matsne.gov.ge/ka/document/view/22828?publication=8-დან

მოსაკრებლის გადამხდელი

1. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადამხდელები არიან პირები, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობებით და ასეთი საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება ნებართვით რეგულირებას.

2. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადამხდელები არიან აგრეთვე ლატარიის მომწყობი პირები (ორგანიზატორები), რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ეროვნული ლატარიის ფონდის მიერ ორგანიზებულ ტენდერში გამარჯვებული პირის გამოვლენამდე. მოსაკრებლების განაკვეთის განსაზღვრის ზოგადი პრინციპები

მოსაკრებლების განაკვეთები მათ ცალკეულ სახეობებზე წესდება ამ კანონის შესაბამისად მიღებული კანონებით და განისაზღვრება შემდეგი პრინციპებით:

ა) სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ უზრუნველყოფილ მომსახურებაზე ან/და უფლების მინიჭებაზე გაწეული დანახარჯების ანაზღაურების გათვალისწინებით;

ბ. განსაკუთრებულ შემთხვევებში სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური (მათ შორის მოსალოდნელი შემოსავლების შეფასების გათვალისწინებით) ინტერესებიდან გამომდინარე.

2. მოსაკრებლები წესდება ლარებში ან ფარდობით სიდიდეებში.

მოსაკრებლებისაგან მიღებული შემოსავლების განაწილება ბიუჯეტებს შორის.

მოსაკრებლების ბიუჯეტებში ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

შემოღების წესის მიხედვით მოსაკრებლები არის საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი.სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლებ მიეკუთვნება საერთო-

სახელმწიფოებრივს ხოლო სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი მიეკუთვნება ადგილობრივ მოსაკრებელს.

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ობიექტებია:

ა) სამორინეს მაგიდა, კლუბის მაგიდა და სათამაშო აპარატი;

გ) წამახალისებელი გათამაშების საპრიზო ფონდი;

დ) სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობა;

ე) ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები.

ვ) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სალარო.

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთების დიფერენცირება ხდება სათამაშო ბიზნესის სახეობის მიხედვით და განისაზღვრება:

ა) თითოეულ სამორინეს მაგიდაზე – კვარტალში 20 000 ლარიდან 40 000 ლარის ჩათვლით;

ბ) თითოეულ სათამაშო აპარატზე – კვარტალში 2 000 ლარიდან 4 000 ლარის ჩათვლით;

გ) თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე – საპრიზო ფონდის 10%;

დ) სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე – კვარტალში 250 000 ლარიდან 300 000 ლარის ჩათვლით;

ე) ლატარიების მოწყობაზე – ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების არა უმეტეს 20%-ისა.

ვ) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე – კვარტალში 1 500 ლარიდან 20 000 ლარის ჩათვლით;

ზ) თითოეულ კლუბის მაგიდაზე – კვარტალში 4 000 ლარიდან 14 000 ლარის ჩათვლით.[15]

„ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის თანახმად, სათამაშო აპარატებზე გათვალისწინებული უნდა იყოს დადებული ფსონის სულ ცოტა 80 პროცენტი მოგება. „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ თანახმად, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული თამაშობა იბეგრება მოგების გადასახადით, ხოლო ტოტალიზატორი ყოველი საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებული ფსონების ჯამიდან 7%-იანი განაკვეთით. ასევე, ფიზიკურად მოწყობილი სამორინე იბეგრება მოგების გადასახადით.

არსებული მდგომარეობით, შემოსავლების სამსახურს არ გააჩნია ბერკეტი დააწესოს და განახორციელოს სრულყოფილი კონტროლი გადასახადების გადახდის და სანებართვო პირობების შესრულებაზე, ვინაიდან არ გააჩნია კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის კონტროლის მიზნით, საჭიროა შემოსავლების სამსახურისათვის ცნობილი იყოს ინფორმაცია თითოეულ სათამაშო აპარატში შესული და გასული თანხების ე.წ „IN-OUT“-ის შესახებ, სათამაშო აპარატის მოგების გაცემის პროცენტის ოდენობის შესახებ, სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული აზარტული თამაშობის (სათამაშო აპარატების სალონი, სამორინე) შემთხვევაში ტრანზაქციების ისტორიის შესახებ, ტოტალიზატორის შემთხვევაში, ყველა დადებული ბილეთის ისტორიის სისწორის შესახებ და ფიზიკურად მოწყობილი სამორინეს შემთხვევაში სალაროში და თითოეულ მაგიდაზე შესული/გასული თანხების/ჟეტონების შესახებ.

[15] პარლამენტი, ს. (2006 წლის 29 12). *საკანონმდებლო მაცნე.* მოპოვებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ N4250: https://matsne.gov.ge/ka/document/view/22828?publication=8-დან

2.2. სათამაშო ბიზნესზე კონტროლის განხორციელება

სამსახურის მიზანს ინტერესთა გამოხატვის შესახებ მოწვევის გამოცხადებით წარმოადგენს სათამაშო ბიზნესის სფეროში სრულყოფილი კონტროლის დაწესება. ინტერესთა გამოხატვაზე წარმოდგენილი დოკუმენტები, უნდა იძლეოდეს ნათელ წარმოდგენას ქმედით მექანიზმს, თუ რა ფორმით მოხდება სამსახურისათვის კონტროლის განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება. აპარატებიდან ინფორმაციის წარმოდგენა უნდა განხორციელდეს ელექტრონულად, ოპერაციის განხორციელებიდან შესაძლოდ მოკლე დროში. შემოსავლების სამსახურის მიერ მიღებული ინფორმაცია უნდა იყოს სარწმუნო, საიმედო და უტყუარად ასახავდეს განხორციელებულ ოპერაციებს.

შემოსავლების სამსახურს სათამაშო ბიზნესის სფეროში სრულყოფილი კონტროლის განხორციელების მიზნით ესაჭიროება ინფორმაცია თითოეულ სათამაშო აპარატში შესული და გასული თანხების ე.წ „IN-OUT“-ის შესახებ, სათამაშო აპარატის მოგების გაცემის პროცენტის ოდენობის შესახებ, სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული აზარტული თამაშობის შემთხვევაში, ტრანზაქციების ისტორიის შესახებ, ტოტალიზატორის შემთხვევაში, ყველა დადებული ბილეთის ისტორიის სისწორის შესახებ ინფორმაცია და ფიზიკურად მოწყობილი სამორინეს შემთხვევაში სალაროში და თითოეულ მაგიდაზე შესული/გასული თანხების/ჟეტონების შესახებ. კანდიდატმა ასევე უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია, რა ფორმით უზრუნველყოფს მონაცემების მიწოდებას შემოსავლების სამსახურისათვის შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლის (მოდელის, მარკის და სისტემური მოთხოვნების მითითებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ინფორმაცია სამსახურისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ელექტრონულად, ტრანზაქციის/ფსონის/ბილეთის განხორციელებიდან შესაძლოდ მოკლე დროში.

წარმოსადგენი ინტერესთა გამოხატვა უნდა ითვალისწინებდეს მექანიზმს, მისი იმპლემენტაციის დეტალების, ფასების, პროცედურებისა და ეტაპების ჩათვლით, რომლის რეალიზებითაც შესაძლებელი იქნება:

ა) სათამაშო აპარატების სალონში, თითოეულ სათამაშო აპარატში შესული და გასული თანხების შესახებ ე.წ. „IN-OUT" (მათ შორის ჯეკპოტის გათამაშების) შესახებ ინფორმაციის მიღება. 2017 წლის მესამე კვარტლის მდგომარეობით, საქართველოს მასშტაბით სათამაშო აპარატების სალონებში ფუნქციონირებს 4886 სათამაშო აპარატი.

ბ) თითოეულ სათამაშო აპარატში დადებული ფსონის სულ ცოტა 80% მოგების გათვალისწინების საკითხი.

ბ) სისტემურ-ელექტრონულ ფორმით ორგანიზებულ აზარტულ თამაშობებში (სათამაშო აპარატები, სამორინე) ყველა განხორციელებული ტრანზაქციის (მათ შორის ჯეკპოტის გათამაშების შესახებ ინფორმაციის) წარმოდგენა, ისტორიის სისწორის და კონტროლის მექანიზმის შემუშავება. 2017 წლის მესამე კვარტლის მდგომარეობით, საქართველოს მასშტაბით სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშის ორგანიზება ხორციელდება 7 ვებ-გვერდის მეშვეობით (ჯამში 14 ნებართვა: 7 აზარტული და 7 მომგებიანი თამაშობის).

გ) ტოტალიზატორის შემთხვევაში, ყველა დადებული ბილეთის ისტორიის სისწორის გაკონტროლების მექანიზმების შემუშავება. 2017 წლის მესამე კვარტლის მდგომარეობით, საქართველოს მასშტაბით სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის ორგანიზება ხორციელდება 7 ვებ-გვერდის მეშვეობით.

დ) ფიზიკურად მოწყობილი სამორინეს შემთხვევაში, სალაროში და თითოეულ მაგიდაზე შესული/გასული თანხების/ჟეტონების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება, რაზე დაყრდნობითაც სამსახური შესძლებს სამორინეს რეალური შემოსავლის დადგენას.

წარმოსადგენი წინადადების მახასიათებლები: წარმოდგენილი წინადადება უნდა იყოს ქართულ ენაზე, მოიცავდეს სამუშაოს აღწერის ყველა მახასიათებლებში

დასმული ამოცანების გადაჭრის გზებს, ტექნიკური გადაწყვეტისა და მოცემულობების ჩათვლით, შესაბამისი გაანგარიშებებს, სამუშაოთა შესრულებისა და პროექტის განხორციელების გონივრულ, მიახლოებით ვადებს. კანდიდატები ვალდებულნი არიან ინტერესის გამოხატვასთან ერთად წარმოადგინონ შემდეგი ინფორმაცია და დოკუმენტები:

1) ოფიციალური სახელწოდება და მისამართი;

2) საფოსტო მისამართი;

3) სათანადო წესით დამოწმებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან/იურიდიული პირის რეგისტრაციის მოწმობა (და სხვა, დაფუძნების ან/და კომპანიის სახელის ცვლილების შესახებ არსებული დოკუმენტები);

4) იურიდიული პირის წესდების სათანადოდ დამოწმებული ასლები;

5) კომპანიის რეზიუმე;

6) გამოცდილების აღწერა, რომელიც დაადასტურებს კანდიდატის ან კანდიდატის ქვეკონტრაქტორების შესაძლებლობას დააკმაყოფილოს ამავე დოკუმენტის დანართით (გამოცდილება) განსაზღვრული კრიტერიუმები. იმ შემთხვევაში, თუკი კანდიდატის გამოცდილება ეყრდნობა ქვეკონტრაქტორების გამოცდილებას, დამატებით საჭიროა წარმოდგენილ იქნეს პროექტში მონაწილეობის მიღების მზადყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტები თითოეული ქვეკონტრაქტორისთვის. გამოცდილების აღწერის განაცხადს თან უნდა ახლდეს შესაბამისი დოკუმენტები და ცნობები;

7) პროექტში მონაწილე ყველა მხარისათვის - წინა 3 წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც თავის მხრივ მოიცავს იმ კორპორაციული ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელთაც ეს მხარეები მიეკუთვნებიან;

8) იმ პარტნიორთა სათანადოდ დამოწმებული სია, რომლებიც ფლობენ კანდიდატის წილის/აქციების 5 პროცენტზე მეტს, მათ შორის ინფორმაცია საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ;

9) ინფორმაცია ყველა იმ სასამართლო და საარბიტრაჟო პროცესის შესახებ, რომლის მონაწილეც იყო კანდიდატის კორპორატიული ჯგუფის (როგორც განმარტებულია წინა პუნქტში) წევრი ნებისმიერი კომპანია ბოლო 5 წლის განმავლობაში;

10) თუ კანდიდატი კონსორციუმია, კონსორციუმის წევრთა სია და ზემოაღნიშნული ყველა დოკუმენტაცია/ინფორმაცია თითოეულ წევრზე. იმ შემთხვევაში, თუკი კანდიდატი ზემოხსენებულ ინფორმაციას არ წარმოადგენს ინტერესის გამოხატვის შესახებ განცხადების წარდგეისას, ან წარმოადგენს არასრულად, მისი კანდიდატურა არ იქნება განხილული. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი კონსორციუმია, მაშინ კონსორციუმის არცერთი წევრი არ შეიძლება იყოს სხვა კანდიდატის წევრი.

ინტერესის გამოხატვის შესახებ განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. შემოსავლების სამსახურმა შესაძლოა მოიწვიოს კანდიდატები პრეზენტაციის გაკეთების მიზნით.

კანდიდატთა „მოკლე სიას“ (shortlist), ინტერესთა გამოხატვის თაობაზე განაცხადების წარდგენის შემდგომ, განსაზღვრავს შემოსავლების სამსახურის მიერ სათანადოდ უფლებამოსილი კომისია.

„მოკლე სიაში“ შესულ კანდიდატებს გაეგზავნებათ მოთხოვნა პროექტთან დაკავშირებით სრული ტექნიკური და კომერციული წინადადებების, მათ შორის პროექტირებასთან, მშენებლობასთან, ექსპლუატაციასთან და დაფინანსებასთან დაკავშირებული შეთავაზებების, წარდგენის თაობაზე. მოთხოვნაში წინადადებების წარმოდგენის შესახებ გათვალისწინებული იქნება საინვესტიციო ხელშეკრულების შეთავაზებული პირობების.

მოკლე სიაში შევლენ მხოლოდ ის კანდიდატები, რომლებიც კომისიის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილებენ ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევის პირობებს, მათ შორის მოკლე სიაში მოხვედრის კრიტერიუმებს.

„მოკლე სიის“ შედგენის ვადა განისაზღვრება შემოსავლების სამსახურის მიერ, თუმცა, შემოსავლების სამსახური აპირებს, რომ მოთხოვნა წინადადებათა წარმოდგენის თაობაზე გამოაცხადოს სავარაუდოდ არაუგვიანეს 2017 წლის 04

სექტემბერს.ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევასთან დაკავშირებულ შემოთავაზებებზე საჯარო განცხადებების ან გამოსვლების გაკეთება დაიშვება მხოლოდ შემოსავლების სამსახურის წინასწარი თანხმობის შემთხვევაში.

ამ მოწვევით, შემოსავლების სამსახური არ იღებს ვალდებულებას შეარჩიოს რომელიმე კანდიდატი, ან აუნაზღაუროს რაიმე ხარჯი ნებისმიერ კანდიდატს. დოკუმენტების წარდგენა კანდიდატს არ ანიჭებს შემოსავლების სამსახურის მიმართ რაიმე მოთხოვნის წარდგენის უფლებამოსილებას იმის გამო, რომ ასეთი კომპანია ან კონსორციუმი გამოეხმაურა მოთხოვნას წინადადებების წარდგენის თაობაზე. ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევის საპასუხოდ გაწეული ყველა ხარჯი და ნებისმიერი შემდგომი ინფორმაციის მოთხოვნა იქნება კანდიდატის ხარჯების ნაწილი.

კანდიდატის ან მისი წარმომადგენლის მიერ განხორციელებული ნებისმიერი მცდელობა მოახდინოს გავლენა ინტერესთა გამოხატვის პროცესზე, შეიძლება დასრულდეს კანდიდატის დისკვალიფიკაციით.

- **სამსახურის უფლებამოსილებანი ინტერესთა გამოხატვასთან დაკავშირებით** უარი თქვას ან შეცვალოს ინტერესთა გამოხატვაზე მოწვევის პირობები (მათ შორის, „მოკლე სიის“ კრიტერიუმები) წინასწარი გაფრთხილების გარეშე, სამსახურის ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნებით;
- კანდიდატის მიერ წარდგენილ განაცხადთან დაკავშირებით მოითხოვოს დაზუსტება ან დამატებითი დოკუმენტაცია;
- დისკვალიფიკაცია მისცეს ნებისმიერ იმ კანდიდატს, რომლის განაცხადი ინტერესის გამოხატვაზე არ შეესაბამება ამ მოწვევით განსაზღვრულ ინსტრუქციებს;
- დისკვალიფიკაცია მისცეს ნებისმიერ იმ კანდიდატს, რომელიც ინტერესის გამოხატვაზე განაცხადში დაამახინჯებს არსებულ ფაქტებს;

- უკან გამოიწვიოს ეს მოწვევა ინტერესთა გამოხატვაზე, ან ხელმეორედ მოიწვიოს კანდიდატები იმავე ან სხვა საფუძვლით, სამსახურის ოფიციალურ ვებ გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნების გზით;
- არ მოაწეროს ხელი ხელშეკრულებას ამ პროცესის შედეგად ან განაგრძოს კანდიდატების შერჩევა, ან გაუგზავნოს „მოკლე სიაში“ მოხვედრილ კანდიდატებს მოთხოვნა წინადადებების წარდგენის თაობაზე; და/ან შეიტანოს ნებისმიერი ცვლილება ინტერესთა გამოხატვის და შეფასების ვადებში, ან ამ მოწვევის სტრუქტურაში, ან შინაარსში და განათავსოს აღნიშნული სამსახურის ოფიციალურ ვებ გვერდზე. ინტერესთა გამოხატვის შესახებ განაცხადი და დოკუმენტების წარდგენა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.[16]

2.3. საქართველოში სათამაშო ბიზნესის სტატისტიკური მიმოხილვა

აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის მიზნით 2018 წელს მოქმედებდა სულ 259 ნებართვა, მათ, შორის 2018 წელს გაიცა 109 ნებართვა; სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დადასტურების მიზნით წარმოდგენილ იქნა 126 განცხადება. სანებართვო მოსაკრებლის სახით ბიუჯეტში 2018 წელს გადახდილია 64 285 000 ლარი.

ნებართვის მფლობელის მოთხოვნით, გაუქმდა აზარტული და მომგებიანი თამაშობის მოწყობის 43 ნებართვა;

მოწყობის პირობებში ცვლილების განხორციელების/წამახალისებელი გათამაშების ახალი ეტაპის მოწყობის შესახებ წარმოდგენილ იქნა 1249 განცხადება;

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ნიშანის მოთხოვნით წარმოდგენილ იქნა 593 განცხადება, საიდანაც მოსაკრებლის სახით ბიუჯეტში შემოსულია 127 397 519 ლარი.

[16] საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, (2017-2019). *მოწვევა ინტერესთა გამოხატვის თაობაზე.*

წამახალისებელი გათამაშების შედეგების შესახებ, განხილული იქნა ნებართვის მფლობელების მიერ წარმოდგენილი - 2550 ოქმი;

ლატარიის შედეგების შესახებ, განხილული იქნა 154 ოქმი;

სანებართვო პირობების შემოწმება განხორციელდა 336 ნებართვის მფლობელის მიმართ; ჯარიმის ოდენობამ შეადგინა - 529 000 ლარი;

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ნიშნის გარეშე ფუნქციონირების გამო შედგენილ იქნა 5 სამართალდარღვევის ოქმი; დაკისრებული ჯარიმის ოდენობამ შეადგინა 2 221 700 ლარი;

სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებით, პასუხი გაეცა სხვადასხვა შინაარსის 250 განცხადებას.

2019 წლის მაისის მდგომარეობით მონაცემებით ტოტალიზატორის ნებართვისთვის გადახდილია 6 640 000 ლარი; წამახალისებელი გათამაშების მოწყობისთვის 750 000 ლარი; ბინგო 135 000 ლარი; სათამაშო აპარატების სალონის სანებართვო მოსაკრებელმა შეადგინა 23 850 000 ლარი, ხოლო სათამაშო აპარატების მოსაკრებლის განაკვეთმა შეადგინა 28 604 000 ლარი; სამორინე 26 000 000 ლარი (შეღავათების გათვალისწინებით), ამასთან ერთად სამორინეს მაგიდების მოსაკრებელმა შეადგინა 18 480 000 ლარი (კვარტალში); ლოტო 60 000 ლარი;

2019 წლის 19 ივნისის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებულია 236 ობიექტი. იქედან თბილისშია 88 ობიექტი. საქართველოში მოქმედებს 74 ტოტალიზატორი, ხოლო თბილისში 17ნებართვის მისაღებად შემოსავლების სამსახურს მიმართა 43-მა ორგანიზაციამ 50 წამახალისებელი გათამაშების ჩასატარებლად, იქედან თბილისში განხორციელდა 37 გათამაშება ასევე თბილისში სამორინეს ნებართვის საფუძველზე მოქმედებს 2 აზარტული კლუბი. საქართველოს მასშტაბით რეგისტრირებულია 9 ბინგო და 4 ლოტო, იქედან 2 ბინგოა თბილისში ხოლო 7 ბათუმში, 3 ლატო თბილისში და 1 ბათუმში საქართველოში გაცემულია 77 ნებართვა სათამაშო აპარატების სალონის მოწყობაზე საიდანაც 22 მდებარეობს თბილისში. ამ 77 სათამაშო აპარატების სალონებში

განთავსებულია სულ 5463 სათამაშო აპარატი და 19 ივნისის მდგომარეობით გადახდილია ორი კვარტლის მოსაკრებელი - 36 652 504 ლარი, აქედან თბილისში მოქმედ 22 სათამაშო აპარატების სალონში განთავსებულია და თამაშობა მიმდინარეობს 2642 სათამაშო აპარატზე რომლის მოსაკრებელმა შეადგინა 20 824 352 ლარი.

საქართველოს მასშტაბით სამორინეს მოწყობისთვის გაცემულია 20 ნებართვა საიდანაც 5 თბილისშია. ამ 20 ნებართვის მფლობელ სამორინეებში განთავსებულია 302 სათამაშო მაგიდა და მაგიდების მოსაკრებელმა ორი კვარტლის მიხედვით შეადგინა 18 453 286 ლარი, მათ შორის თბილისშია 147 სათამაშო მაგიდა და გადახდილია 11 370 000 ლარი.

ინფორმაცია 2018 წლის განმავლობაში სათამაშო ბიზნესის მოქმედი ნებართვის მქონე გადამხდელთა მიერ ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების შესახებ[17]

გადასახადის დასახელება	**თანხა**
დღგ	20,989,465.86
მოგების გადასახადი	99,565,831.32
ქონების გადასახადი	1,175,853.04
საშემოსავლო გადასახადი	67,222,862.19
იმპორტის გადასახადი	69,142.47
სხვა	4,461,223.15
სულ	193,484,378.03

ინფორმაცია 2018 წლის განმავლობაში ბიუჯეტში გადახდილი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების შესახებ[18]

[17] ინფორმაცია მიღებულია საშემოსავლო სამსახურის მონავემების დამუშავების საფუძველზე
[18] ინფორმაცია მიღებულია საშემოსავლო სამსახურის მონავემების დამუშავების საფუძველზე

მოსაკრებლის ტიპი	**საგადასახადო პერიოდი**
	2018
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	136,507,502.68
სანებართვო მოსაკრებელი	63,203,681.10

ინფორმაცია აზარტული და მომგებიანი თამაშობების ნებართვის (გარდა "წამახალისებელი გათამაშების მოწყობა") მქონე გადამხდელთა მიერ დასაქმებული პირების რაოდენობის შესახებ [19]

საანგარიშო თვე	**დასაქმებულთა რაოდენობა**
2018_დეკემბრის მდგომარეობით	11,368

შენიშვნა:

* ინფორმაცია მომზადებულია გადამხდელის მიერ წარმოდგენილი "საანგარიშო თვის მიხედვით გაცემული თანხებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ" ინფორმაციის მიხედვით , განაცემის სახე "ხელფასი"

* დამსაქმებლებად აღებულია პერიოდის მიხედვით მოქმედი სათამაშო ბიზნესის ნებართვის მქონე გადამხდელები

* გადამხდელი შესაძლოა ეწეოდეს რამოდენიმე საქმიანობას და მის მიერ დასაქმებულ პირთა საქმიანობა არ უკავშირდებოდეს მხოლოდ ერთ სფეროს, შესაბამისად მოკლებული ვართ შესაძლებლობას მოგაწოდოთ ინფორმაცია მხოლოდ სათამაშო ბიზნესის სფეროში დასაქმებულ პირთა შესახებ

[19] ინფორმაცია მიღებულია საშემოსავლო სამსახურის მონავემების დამუშავების საფუძველზე

ინფორმაცია აზარტული და მომგებიანი თამაშობების ნებართვის (გარდა "წამახალისებელი გათამაშების მოწყობა") მქონე გადამხდელთა მიერ დასაქმებული პირების რაოდენობის შესახებ [20]

საანგარიშო თვე	**დასაქმებულთა რაოდენობა**
2015_დეკემბერი	7,719
2016_დეკემბერი	7,367
2017_დეკემბერი	8,323
2018_აგვისტო	9,749

შენიშვნა:

* ინფორმაცია მომზადებულია გადამხდელის მიერ წარმოდგენილი "საანგარიშო თვის მიხედვით გაცემული თანხებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ" ინფორმაციის მიხედვით , განაცემის სახე "ხელფასი"

* დამსაქმებლებად აღებულია პერიოდის მიხედვით მოქმედი სათამაშო ბიზნესის ნებართვის მქონე გადამხდელები

* გადამხდელი შესაძლოა ეწეოდეს რამოდენიმე საქმიანობას, ვინაიდან დეკლარაციებში არ ხდება მითითება დასაქმებულთა პოზიციის შესახებ, შესაბამისად მოკლებული ვართ შესაძლებლობას მოგაწოდოთ ინფორმაცია მხოლოდ სათამაშო ბიზნესში დასაქმებულ პირთა რაოდენობის შესახებ

ინფორმაცია აზარტული და მომგებიანი თამაშობების ნებართვის (გარდა "წამახალისებელი გათამაშების მოწყობა") მქონე გადამხდელთა მიერ 2015-2018(9 თვე)წწ პერიოდში გადახდილი გადასახადების შესახებ[21]

პერიოდი	ბათუმი	თბილისი	ქუთაისი	ფოთი	გურია	სულ	სულბიუჯეტში გადახდილი

[20] ინფორმაცია მიღებულია საშემოსავლო სამსახურის მონავემების დამუშავების საფუძველზე
[21] ინფორმაცია მიღებულია საშემოსავლო სამსახურის მონავემების დამუშავების საფუძველზე

							გადასახადები
2015	9,373,528.6	87,601,371.8	228,005.8	160,184.0	14,755.8	97,737,469.1	8,010,855,583.5
2016	8,138,536.8	563,802.9	7,919.4	4,177.4	1,959.3	110,654,009.2	8,786,065,315.9
2017	8,633,101.4	777,894.9	6,383.8	8,265.7	8,723.9	154,506,076.1	9,778,948,329.3
2018(აგვისტო)	6,836,032.7	945,664.1	13,433.9	6,986.8	3,433.3	137,366,781.6	7,721,574,878.7

2010 წლის სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელმა შეადგინა 125 574 724 ლარი, ხოლო ბიუჯეტის ჯამურმა შემოსულობამ 5 559 151 712 ლარი.

2018 წლის სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელმა შეადგინა 273 014 902 ლარი, ხოლო ბიუჯეტი ჯამურმა შემოსულობამ 16,220,717,044 ლარი.

2019 წლის იანვარი-აპრილის მდგომარეობით სათამაშო ბიზნესის მიერ ბიუჯეტში გადახდილი თანხები შეადგენს:

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 33 616 687 ლარი;

სათამაშო აპარატებიდან მიღებული შემოსავალი 18 210 880 ლარი;

წამახალისებელი გათამაშებებიდან შემოსული მოგება 523 500 ლარი;

სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობებიდან 3 055 438 ლარი;

აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სალარო 41500 ლარი;

სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 127 066 ლარი; ჯამი - 55 575 061 ლარი; ხოლო მთლიანი ბიუჯეტის შემოსულობა - 5,378,269,873 ლარი.

ყველაზე აქტიური ბრენდების სია, ასე გამოიყურება.[22]



2.4. ფულის გათეთრება და რისკები

ფულის გათეთრება — არალეგალური გზებით მიღებული ფულადი სახსრების ან საკუთრების სხვა ფორმების ლეგალიზებას, ანუ მათი ჩრდილოვანი, არაფორმალური ეკონომიკიდან ფორმალურში გადაყვანას იმისათვის, რომ ამ სახსრებით ღიად (სახალხოდ) სარგებლობა გახდეს შესაძლებელი.

გათეთრების პროცესში ხდება შემოსავლის ნამდვილი წყაროს დამალვა, რეალური გარიგებების ფორმალურით შეცვლით, მაგ. დამამოწმებელი დოკუმენტების გაყალბებით, მესამე პირთა დოკუმენტების გამოყენებით და მისთ. ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ფულის გათეთრებისთვის ხშირად ოფშორულ ზონებს იყენებენ, ეს არის ქვეყნები ე.წ. საგადასახადო სამოთხით, სადაც საბანკო სისტემებში ბენეფიციარების კონფიდენციალობა უზრუნველყოფილია.

[22] ინფორმაცია მიღებულია საშემოსავლო სამსახურის მონავემების დამუშავების საფუძველზე

გავრცელებული მტკიცებით ეს ტერმინი აშშ-ში წარმოიშვა 1920-იან წლებში. ამერიკულმა მაფიამ კრიმინალური გზით შეძენილი ფულადი სახსრების ლეგალიზებისთვის ავტომატური სამრეცხაოების გახსნა დაიწყო. თუმცა ამერიკელი ავტორი ჯეფრი რობინსონის აზრით, ეს ასე არ არის. მისი თქმით ტერმინი „ფულის გათეთრება“ (ინგლ. money laundering) პირველად ბრიტანულმა გაზეთმა „The Guardian“-მა გამოიყენა უოტერგეიტის სკანდალის პერიოდში რიჩარდ ნიქსონის საარჩევნო კამპანიის უკანონო დაფინანსების აღნიშვნისთვის.

საქართველოს კანონმდებლობაში, როგორც ევროპის მრავალ ქვეყანაში, იურიდიულად დამკვიდრებულია ტერმინი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია“ და იგი, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, შემდეგნაირადაა განსაზღვრული: უკანონო შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემა (შეძენა, გამოყენება, გადაცემა ან სხვა მოქმედება), აგრეთვე მისი ნამდვილი წარმოშობის, მესაკუთრის ან მფლობელის ან/და ქონებრივი უფლებების დამალვა ან შენიღბვა ანდა ასეთი ქმედების ჩადენის მცდელობა.

თავისი შინაარსით, ფულის გათეთრება, მოიცავს ოპერაციათა რთულ ერთობლიობას, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების წყაროს იმგვარად შენიღბვა, რომ შემდეგში ასეთი აქტივების გამოყენება კომპრომეტაციის გარეშე იყოს შესაძლებელი. სპეციალისტები გამოყოფენ ფულის გათეთრების რამდენიმე ეტაპს. ჩვეულებრივ, მიღებულია სამ ეტაპად დაყოფა: განთავსება, დანაწევრება, ინტეგრაცია. თუმცა ოპერაციათა სირთულიდან გამომდინარე ზღვარის გავლება ამ ეტაპებს შორის საკმაოდ რთულია და დამოკიდებულია ფულის გამთეთრებელი პირის ან გუნდის ინტელექტუალურ მომზადებასა და ფანტაზიაზე.

ფულის გათეთრების საკითხებს აკონტროლებს ორგანიზაცია Moneyval. Moneyval-ი არის ექსპერტთა კომიტეტის საერთო და ოფიციალური სახელი ფულის გათეთრების ზომების შეფასებისა და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ. Moneyval

არის ევროპის საბჭოს მონიტორინგის ორგანო, 47 წევრი ქვეყნით, უშუალოდ ექვემდებარება მის ძირითად ორგანოს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს.

Moneyval-ის ამოცანა შეფასებულია ძირითად საერთაშორისო სტანდარტებთან, რომლებიც მიმართულია ფულის გათეთრების საწინააღმდეგოდ, ტერორიზმის დაფინანსებასა და მათი განხორციელების ეფექტურობასთან, ასევე რეკომენდაციებს ეროვნული ხელისუფლებისადმი მათი სისტემებისადმი აუცილებელ გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

ფულის გათეთრების ზომების შეფასებისა და ტერორიზმის დაფინანსების ექსპერტთა კომიტეტი - MONEYVAL არის ევროპის საბჭოს მუდმივი მონიტორინგის ორგანო, რომელსაც დაევალა ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ძირითადი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობის შეფასებას და ტერორიზმის დაფინანსებას და მათი განხორციელების ეფექტურობა, ასევე ეროვნული ხელისუფლებისადმი რეკომენდაციების შემუშავება მათი სისტემებისათვის აუცილებელი გაუმჯობესების კუთხით. ორმხრივი შეფასების დინამიური პროცესი, თანატოლთა მიმოხილვა და რეგულარული შემდგომი მოხსენებები, MONEYVAL მიზნად ისახავს ეროვნული ხელისუფლების შესაძლებლობების გაუმჯობესებას ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისა და ტერორიზმის დაფინანსების ეფექტურად გამოყენება.

ერთ ერთი ყველაზე სარისკო დარგი ფულის გათეთრების მიზნით არის სათამაშო ბიზნესი. ფულის გათეთრებასთან ბრძოლის მეთოდოლოგიას არეგულირებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონი. ამ კანონის მიზანია საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის სამართლებრივი მექანიზმის შექმნა, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა. ეს კანონი არეგულირებს საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გამოვლენასთან და აღკვეთის ხელშეწყობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს ამ კანონით გათვალისწინებულ საამისოდ უფლებამოსილ

ორგანოებსა და შესაბამის პირებს შორის, აგრეთვე ურთიერთობებს, ერთი მხრივ, საქართველოს და, მეორე მხრივ, სხვა სახელმწიფოთა უფლებამოსილ ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს რეზიდენტ და არარეზიდენტ პირებზე, მათ წარმომადგენლებზე, წარმომადგენლობებსა და ფილიალებზე, აგრეთვე უწყებებზე, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებზე.

მონიტორინგის განმახორციელებელი პირები არიან:

ა) კომერციული ბანკები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები; ა1)

ბ) საბროკერო კომპანიები და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები;

გ) სადაზღვევო კომპანიები და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლები;

დ) ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის ორგანიზატორი, მათ შორის, სამორინე (მათ შორის, აზარტული თამაშობების სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირი (ინტერნეტსამორინე));

ე) ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და მათ ნაწარმთან და ანტიკვარულ ნივთებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი პირები;

ვ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – შემოსავლების სამსახური);

ზ) გრანტებისა და საქველმოქმედო დახმარებების გამცემი პირები;

თ) ნოტარიუსები და ა.შ

ზემოაღნიშნულ ორგანიზაციების მონიტორინგს ექვემდებარება პირის მიერ დადებული ან შესრულებული გარიგება ან/და გარიგების (მისი თანხის) დანაწევრების მიზნით დადებულ ან შესრულებულ გარიგებათა ერთობლიობა (კომერციული ბანკების, საბროკერო და სადაზღვევო კომპანიების, ადვოკატებისა და საბუღალტრო ან/და აუდიტორული საქმიანობის განმახორციელებელი პირების საშუალებით შესრულებული გარიგებების, აგრეთვე შემოსავლების სამსახურის

მონიტორინგს დაქვემდებარებული ქმედებების გარდა), თუ არსებობს ერთ-ერთი ან ორივე შემდეგი პირობა:

ა) გარიგების ან გარიგებათა ერთობლიობის თანხა აღემატება 30 000 ლარს (ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში), როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში;

ბ) ეს გარიგება არის საეჭვო გარიგება. საეჭვო გარიგება – გარიგება (მიუხედავად მისი თანხის ოდენობისა და ოპერაციის სახეობისა), რომელზედაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ იგი დაიდო ან შესრულდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით ან/და ქონება (მათ შორის, ფულადი სახსრები), რომლის საფუძველზედაც დაიდო ან შესრულდა გარიგება, მოპოვებულია ან წარმოშობილია დანაშაულებრივი საქმიანობიდან, ან/და გარიგება დაიდო ან შესრულდა ტერორიზმის დაფინანსების მიზნით (ეჭვს იწვევს გარიგების მონაწილე პირი ან გარიგების თანხის წარმოშობა, ან არსებობს სხვა საფუძველი, რომლის გამოც გარიგება შეიძლება მიჩნეულ იქნეს საეჭვოდ), ან რომ მისი მონაწილე რომელიმე პირი შეტანილია ტერორისტთა ან ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიაში ან/და შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მათთან, ან/და რომ მასში მონაწილე ფულადი სახსრები შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ან გამოყენებულ იქნეს ტერორიზმისათვის, ტერორისტული აქტისათვის ან ტერორისტების მიერ ან ტერორისტული ორგანიზაციის ან ტერორიზმის დამფინანსებლის მიერ, ან რომ მისი მონაწილე რომელიმე პირის იურიდიული ან ფაქტობრივი მისამართი ან საცხოვრებელი ადგილი არის არაკოოპერირებად (არამოთანამშრომლე) ზონაში, ან რომ მისი თანხის გადარიცხვა ხდება ასეთ ზონაში ან ასეთი ზონიდან;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მონიტორინგის განმახორციელებელი პირი ვალდებულია აღრიცხოს/შეინახოს გარიგების შესახებ ინფორმაცია (დოკუმენტები), რომელიც (რომლებიც) შეეხება:

ა) გარიგების (ოპერაციის) შინაარსს;

ბ) გარიგების დადების თარიღსა და ადგილს, აგრეთვე გარიგების თანხის ოდენობას და ვალუტას, რომელშიც გარიგება უნდა შესრულდეს;

გ) გარიგების მონაწილე პირის (მათ შორის, კლიენტის) იდენტიფიკაციისათვის წარმოდგენილ ამ კანონით განსაზღვრულ ინფორმაციას (დოკუმენტებს);

დ) იმ პირის იდენტიფიკაციისათვის საჭირო ინფორმაციას (დოკუმენტებს), რომლის დავალებითაც იდება ან სრულდება გარიგება;

ე) იმ პირის იდენტიფიკაციისათვის საჭირო ინფორმაციას (დოკუმენტებს), რომელიც მესამე ან სხვა პირის დავალებით დებს ან ასრულებს გარიგებას.

მონიტორინგის განმახორციელებელი პირი, ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე, თავად განსაზღვრავს პროცედურებს, რომლებიც აუცილებელია კლიენტის იდენტიფიკაციისათვის (გარდა ანგარიშის გახსნის პროცედურებისა). ამასთანავე, მას უფლება აქვს, მოითხოვოს გარიგებასთან (ოპერაციასთან) და მასში მონაწილე პირებთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია (დოკუმენტები).

მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა საიდენტიფიკაციო მონაცემები უნდა შეამოწმოს მინიმუმ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ან საქართველოს კანონმდებლობით მათთან გათანაბრებული დოკუმენტის საფუძველზე, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – სახელმწიფოს მიერ გამოცემული ისეთი დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც იძლევა იურიდიული პირის შექმნისა და მისი წარმომადგენლის (წარმომადგენლების) შესაბამისი უფლებამოსილების დადასტურების საშუალებას.

დასკვნა

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მოყოლებული, სათამაშო ბიზნესის განვითარება ძალიან მაღალი ტემპებით დაიწყო. საქართველომ დააწესა გადასახადი, რომელიც დაფუძნებული იყო სათამაშო მოწყობილობების და ობიექტების რაოდენობაზე, რაც ამ ბიზნესის დაბეგვრის ყველაზე ეფექტური საშუალებაა. არაეფექტური რეგულირების პირობებში სათამაშო ბიზნესი შეიძლება მძიმე სოციალური პრობლემების გამომწვევი გახდეს, მაგრამ დაბალანსირებული მიდგომის შემთხვევაში, სოციალური რისკები მინიმალურია.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მოყოლებული, სათამაშო ბიზნესის განვითარება ძალიან მაღალი ტემპებით დაიწყო. 1997 წელს კი საქართველომ დააწესა გადასახადი, რომელიც დაფუძნებული იყო სათამაშო მოწყობილობების რაოდენობაზე, რაც ამ ბიზნესის დაბეგვრის ყველაზე ეფექტური საშუალებაა. არაეფექტური რეგულირების პირობებში სათამაშო ბიზნესი შეიძლება მძიმე სოციალური პრობლემების გამომწვევი გახდეს, მაგრამ დაბალანსირებული მიდგომის შემთხვევაში, სოციალური რისკები მინიმალურია. 2000 წელს საქართველოში მომზადდა კანონპროექტი, რომელიც მთლიანად კრძალავდა სათამაშო ბიზნესს. მთავარ მოტივებად დასახელდა ეფექტური კონტროლის არარსებობა და ქვეყანაში მომუშავე ოპერატორების შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირების არარსებობა. ამკრძალავი ღონისძიებების იდეა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა უმრავლესობით მიიღეს, მაგრამ 2001 წლის ბიუჯეტი ვერ შესრულდა სათამაშო ბიზნესიდან შემოსული გადასახადების გარეშე და საბოლოოდ აკრძალვა აღარ დამტკიცდა.

2005 წელს საქართველომ - კვლავ რეგიონში პირველმა - მიიღო დეტალური

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობებში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელს უკავია არაუმეტეს 2% შეიძლება თამამად ითქვას რომ სათამაშო ბიზნესი არის ქვეყნის ხაზინის ერთ ერთი უმსხვილესი შემავსებელი. სათამაშო ბიზნესი ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას რეგიონში, აქედან

გამომდინარე სათამაშო ბიზნესისთვის დაწესებულია შეღავათები საქართველოს ტურისტულ ზონებში სადაც შესაძლებელია აშენდეს სასტუმრო არანაკლებ 100 ნომრით რომლის ტერიტორიაზე სამორინეს განთავსება არ დაიბეგრება სანებართვო მოსაკრებლით. სახელმწიფო ასევე ზრუნავს მოთამაშეთა უფლებების დაცვაზე, მათ შორისაა ასაკობრივი შეზღუდვა აზარტული და მომგებიანი თამაშობების ობიექტებზე, გაცემული მოგებების კონტროლი და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“
2. საქართველოს კანონი „ლიცენზიებსა და ნებართვების შესახებ“
3. საქართველოს კანონი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ“
4. საქართველოს კანონი „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“
5. საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“
6. არაბული კ., ტურიზმის საფუძვლები, თბ., 2008
7. მეტრეველი მ., ტურიზმის შესავალი, თბ., 1012
8. მენაბდიშვილი ხ., ბეჟანიშვილი ა., ტურიზმის განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში, თბ., 2007
9. გელდნერი ჩარლზ რ., რითჩი ბრენტ ჯ.რ., ტურიზმი, თბ., 2013
10. Beamish, P.W. (1988) *Multinational Joint Ventures in Developing Countries*. New York, Routledge. Birtwistle, M. (1996) Scottish tourism: an enterprising approach. *Tourism Management*, 19 (6), 549–550.
11. Baum, T. and Hagen, L. Responses to seasonality: the experiences of peripheral destinations. International Journal of Tourism Research, 1(5), 299-312.,1999
12. Сенин В.С Денисенко А.В. Гостиничный бизнес: классификация гостиниц и других средств размещения: учеб. Пособие. - М.:финансы и статистика, 2004
13. Организация обслуживания в гостиницах и туристических комплексов: Учебное пособие-М: Альфа-М; ИНФРА-М,2006 (серия «сервис»)
14. Материально-техническая база оформления гостиниц и тур. комплексов; Учебник для сред. проф. Образования (И.Ю. Безрукова» М.: издательский центр «академика» 2004.
15. Rs.ge
16. Geostat.ge
17. http://treasury.ge საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა